

23  
ab

საქართველოს მკვლევართა



# ნაწილი

1920



№ IV

საკრძალი  
მოსკოლისათვის

საქართველოს  
საბჭოთაო  
კულტურის  
სამსახური

# ბებელ ულა

აპრილი 1920 წ.

№ 4.



F-5817



გ. ბ. ფ. უ. ლ. ი.





## გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

მრავალს მოვესწარ ვაზაფხულს,  
მრავალს ვარდსა და იასა,  
მზისა ანოსლას მადლიანს,  
ბუღბუღლის ტია-ტიასა. —

მაგრამ წლევანდელ ვაზაფხულს  
რა შეედრება, რომელი?  
ააყვავილა სამშობლოს  
გულ-მკერდი მუჟამ შრომელი!

წელს იმის ყვავილთ შორის ვპვრეტ  
ერთ ყვავილს სულ სხვანაირსა:  
სამშობლოს თავისუფლება  
ჰქვიან იმ ტურფა ყვავილსა!

ი. მკედლიშვილი.





## ლურჯი ფრინველი

მოქმედება III.

სურათი მეოთხე—ღამის სასახლე.

ღიღი და სუფთავოდ ღამაზე ზღაპრული დარბაზი. სვეტები და სურათოდ მთელი დარბაზის არხიტექტურა-ორნამენტები შვეი მარმარილოსი და თქროსია. დარბაზი გარეგნობით ჭკავეს ბურთულ, ან კე-ეიმბტურ ტაბრს. უველაფერი აქ ბრინჯაოსი და შვეი ხისა. ფორმა დარბა-ზისა—ტრანჟეციის მინაგვარია. ბაზალტები, რომელთაც მთელ დარ-

ბაზის საგანზე უჭირავთ, ჭეოფენ სამ ნაწილად სასახლეც, ცხელი წყლით  
 შეორე ნაწილი უფრო მადლობზეა, ვიდრე შარველზე და მკვამლე  
 ვიდრე შეორე. მარჯვნივ და მარცხნივ, სვეტებს შუა, ბრინჯაოს  
 კარკებია. საღრმეში, შუაში, უკანასკნელ ამაღლებულზე — უშველებელი  
 სწიღების კარებია. ბუნდოვანი სინათლე, რომელიც ისე გამოჰქრათას,  
 თათქოს მარმარილოს და შვი ხის ბჭვერადაა შუქია.

(ფარდა რომ აიხდება, ღამე (მშვენიერი ქალი), შემოსილი გძელი  
 და დიდი შავი ტანისამოსით, ზის მეორე ამაღლებულზე. ერთი მხრი-  
 დან წევს და ტუჩებზე ღიმილით სძინავს სრულიად შიშველ ბავშვს,  
 როგორც ამურს. მეორე მხარესაც ბავშვია. იგი ვაღნძრეველად სდგას  
 და თავიდან ფეხებამდის შეხვეულია. შემოდის კატა, პირველ პლანის  
 მარჯვენა მხარედან).

- ღამე. — ვინ არის?
- კატა. — (დადალული, კიბას კიდეზე ჩამოჯდება) — მე ვახლავართ, ქალბატონო ღამე... უპ, ამაზე მეტი აღარ შემიძლია...
- ღამე. — რა დაგემართა, შვილო? როგორი გაყვირებული, გამხდარი ხარ?.. უღვაშებამდის ტალახში ხარ ამოსვრილი. ბანზე ჩხუბი კიდევ ხომ არ მოგივიდა?..
- კატა. — რასა ბძანებთ, ახლა ბანზე ვილა ჰფიქრობს, როცა ჩვენ საიდუმლოს სადაც არის წაგვართმევენ... ქვეყნიერობა გადაბრუნდა... ერთი წუთით ძლივს დავალწიე თავი, რომ გამეფრთხილებინეთ, მაგრამ, მგონი, გვიანლა...
- ღამე. — რა იყო, რა მოხდა?
- კატა. — ამას წინად რო მოგახსენეთ — შეშის მჭრელის შვილის ტილტილის და საკვირველი აღმასის შესახებ... ახლა ტილტილი აქ თქვენთან აპირებს მოსვლას, ლურჯი ფრინველის წასაყვანად...
- ღამე. — წაყვანას ჯერ დაქერა უნდა...



- კატა. — დაიჭერს, თუ სასწაული რამ არ მოვახდინებ... აი როგორ არის საქმე: სინათლე გელალატობს, საესებით ადამიანის მხარე უჭირავს, იმათი ბელადი-კი ვახდა... ბავშვებს უთხრა, ნამდვილი ლურჯი ფრინველი, ერთად-ერთი ლურჯი ფრინველია, რომელსაც მზის შუქზე შეუძლიან იცოცხლოსო; ღამესთან იმალებო, ოცნების სხვა ლურჯ ფრინველებთან ერთად, რომელნიც მთვარის სხივებით იკვებებიან და, მზეს დაინახავენ თუ არა, იმ წამსვე დაიბოცებიან ხოლმე... სინათლემ ისიც კარგად იცის, რომ თქვენ სასახლეში მოსვლა აკრძალული აქვს და ამიტომ მხოლოდ ბავშვები გამოგზავნა... ისიც უთხრა, ღამეს უფლება არა აქვს უარი გითხრას და თავის საიდუმლოების კარები არ გაგიღოსო... აი ასე ვახლავეთ საქმე და, ვინ იცის, ყველა ეს რითი გათავდება... ერთი სიტყვით, თუ ღმერთი გაგვიწყრა და ნამდვილი ლურჯი ფრინველი ხელში ჩაიგდო, ჩვენ ამ ქვეყნად აღარ გვეცხოვრება...
- ღამე. — ღმერთო, ღმერთო, დიდებულო ღმერთო!.. ერთი წუთი მოსვენება აღარა მაქვს... რა უნდა ადამიანს, რომ ველარ გამიგია?.. ყველაფერი უნდა შეიტყოს, თუ როგორ არის იმის საქმე? ჩემი საიდუმლოს მესამედი უკვე შეიტყო. ელდა შიშისაგან გარედ ველარ გამოსულა, მოჩვენებანი აქეთ-იქით მიიფანტნენ, მეტი წილი ჩემი სწეულებანი ცუდად არიან...
- კატა. — ვიცი, ვიცი, ქალბატონო ღამევე, ძალიან მძიმე დროა დაგვიდგა, და თითქმის მარტო ჩვენლა დავრჩით ადამიანთან საბრძოლველად... შეხედე მგონი, ისინიც მოდიან... ჩემი აზრით, ერთად ერთი საშუალება ის იქნება, რომ შევაშინოთ; ბავშვები არიან, ადვილად შეშინდებიან. ისე კი უნ-



და შევაშინოთ, რომ ვერც კი გაბედონ ეს დიდი კარი გაგვალებინონ, საცა მთვარის ფრინველები არიან... სხვა მღვიმეებს რომ ნახავენ, ისიც კმა-რა, რომ ელდა ეცეთ და გონება სრულიად დაეხ-ნათ... (გარედან ხმურობა ისმის).

- ღამე. — ეს რა მესმის?.. ბევრნი ყოფილან?
- კატა. — ორნი არიან. პური და შაქარი ჩენი მეგობრები არიან; წყალი ცოტა შეუძლოდ გახლავს და ვერ მოვა; ვერც ცეცხლი მობრძანდება, რადგან სი-ნათლის ნათესავია. ეგ არის ზოლოდ—ძალი: ვერ იქნა და ვერაფრით მოვიშორე თავიდან ეგ წყეული... (შარველ მლახადან, მარჯვენა, კრძაღვით შემოდან: ტილტილ, მიტილ, შაქრა, ზური და ძაღ-ლი. კატა ტილტილს მიეგუება). აქეთ მომძანდით, ბატონო, აქეთ. ღამეს ეს იყო მოვახსენე—მობრძან-დებიან-მეთქი. ცოტა შეუძლოდ გახლავსთ და ბოდიშს იხდის—რომ ვერ მოგეგებებათ...
- ტილტილ. — დილა მშვიდობისა, ქალბატონო ღამეე...  
ღამე. — (ხაწეხა). — როგორ თუ დილა მშვიდობისა, ეგ მე არ მესმის!.. უნდა გეთქვა: „ღამე მშვიდობი-სა!“ ან კიდე: „სალამო მშვიდობისა“...
- ტილტილ. — უკაცრავად, არ ვიცოდი... (ორ ბავშვზე მიუთა-თებს) ესენი თქვენი შვილები არიან?..
- ღამე. — ჰო. აი ეს—ძილია...
- ტილტილ. — ესეთი გასუქებული რად არის?
- ღამე. — იმიტომ, რომ სულ სძინავს...
- ტილტილ. — მეორე ვილა? სახეს პირბადით რად იფარავს, რად იმალება? ავად ხომ არ არის?.. რა ჰქვია?..
- ღამე. — ეგ ძილის და არის... სჯობია მავის სახელი არ გითხრა.
- ტილტილ. — რატომ?..
- ღამე. — მავის სახელის გაგება არავის ესიაშოვნება... მაგ-რამ ამას თავი დაეანებოთ; წელან კატამ მითხრა—



ლურჯი ფრინველის წასაყვანად მოდიანო...  
 ნა ხართ?..

ტიღტიღ. — დიახ, ქალბატონო: თუ ნებას გვიბოძებთ, სწორედ იმის წასაყვანად ვიახელით... სად არის?

ღამე. — არ ვიცი, სად არის... ეს კი შემოძლია დანამდვილებით ვითხრა, რომ აქ არ არის... მე აქ არასოდეს შემხვედრია...

ტიღტიღ. — აქ არის, აქ... სინათლემ მითხრა—ღამესთან არისო. იმან კარგად იცის. აბა თქვენი გასაღები მიბოძეთ...

ღამე. — მაგას რას ამბობ, ჩემო პატარავ: გასაღებს როგორ მოგცემ! ბუნების საიდუმლო მე მბაბრია. პასუხისმგებელი მე ვარ, და აკრძალული მაქვს ვისაც არა მგონია ეს საიდუმლო გავუმხილო, ნამეტნავედ—ბავშვს...

ტიღტიღ. — თქვენ ნება არა გაქვთ ადამიანს უარი უთხრათ... ეს კარგად ვიცი...

ღამე. — ვინ ვითხრა?

ტიღტიღ. — სინათლემ.

ღამე. — სინათლე, სინათლე! რა იმის საქმეა, რომ საცა არა მგონია—თავს წამოჰყოფს ხოლმე?..

ძაღვი. — ჩემო პატარა ღმერთო, გინდა გასაღები წავართვა?

ტიღტიღ. — შენ გაჩუმდი, უზღელი ნუ ხარ... (ღამეს) ქალბატონო ღამე, ვთხოვთ თქვენი გასაღები მიბოძოთ...

ღამე. — ეს მაინც მითხარი, ნიშანი გაქვს რამე, თუ არა?..

ტიღტიღ. — აი აღმასი...

ღამე. — (რა დაინახავს, რომ შეტი გზა აღარ აქვს) აი, მიიღე... ეს ყველა კარებს აღებს... მაგრამ თუ რამე უბედურება შეგემთხვა, მე ნუ დამაბრალებ, პასუხისმგებელი შენვე იქნები...

პური. — (შეშინებულია).—განა ეგრე საშიშია?..





- დამე. — საშიშიაო?.. იმდენად საშიშია, რომ თვითონ თავი როგორ დავაღწიო, როდესაც ვაილება ბრინჯაოს ზოგიერთი კარები და უფსკრული გადაიშლება... იმ დარბაზის გარშემო ფიქალის მღვიმეებია და თვითვეული მღვიმე საესეა სხვადასხვანაირ ავადმყოფობით, ელდით, ათასნაირ საშინელებით, ხიფათით, რომელნიც შეუწყალელად ჰპუსრავენ ქვეყნიერობას მას აქეთ, რაც არსებობს ეს წუთისოფელი... არც ეგრე ადვილი იყო მათი დამწყვედევა, მაგრამ, მადლობა განგებას, მაინც მოვახერხებ შებორკვა და, გარწმუნებთ, ადვილი როდია მათი ყურისგდება; როცა რომელიმე მათგანი ჩემდა უნებურად დამაღწევს ხოლმე თავს, დიდი უბედურება მოაქვს დედამიწის ზურგზე...
- პურა. — ჩემი წლოვანობა, გამოცდილება და ერთგულება მოვალეთა მხდის, რაღა თქმა უნდა; ამ ბავშვებს მთარეელობა ვავუწიო; ამიტომ ნება მიბოძქეთ, ქალბატონო ღამევე, — ერთი რამ გკობოთ...
- დამე. — ბძანეთ...
- პურა. — თუ ვინიცობაა რამე უბედურება მოხდა, საით უნდა გავიქცეთ?
- დამე. — თუ რამე უბედურება მოხდა, მაშინ გაქცევა ყოველად შეუძლებელია...
- ტაღტიღ. — (კასადებს აადებს და ჰარველ კარზე უჩვენებს). — აქედან დავიწყოთ... ამ ბრინჯაოს კარებს უკან რა არის?..
- დამე. — მგონი მოჩვენებანი არიან... დიდი ხანია ეგ კარი არ გამიღია...
- ტაღტიღ. — (ადებს). — ვნაბოთ... (პურს). ლურჯი ფრინველის გაღია სად არის?
- პურა. — (ცხცაწათ). — ნუ-კი იფიქრებთ, რომ ეს ცახცახი შიშისაგან მომდიოდეს; მაგრამ, მგონი, ემჯობი-

ნება ეს კარი არ გავაღოთ და მხოლოდ ფეხს  
ჭუჭრუტანიდან შევიხელოთ.

ტიღტიღ. — თქვენი რჩევა საჭირო არ ვახლოვებ.

მატილ. — (უცებ ტირილს დაიწეებს). — შეშინია... შეპარი საღ  
არის?... სახლში წავიდეთ.

შაქარა. — (საჩქაროდ შიარბესს მიტიღთან. გადაჭარბებული ზრდა-  
ლობიანობით) — აქ ვახლოვართ, ქალბატონო, აქ ვახ-  
ლოვართ... ნუ ტირით, ნუ ტირით... ახლავე თითს  
მოვიტეხ და მყინვარ შეპარს მოვართმევთ. აი — ინე-  
ბეთ...

ტიღტიღ. — გეყოფათ ყბედობა... (ტიღტიღა ფრთხილად კარს  
გააღებს. კარები გააღებს თუ არა, ხუთი ან ექვსი აწ-  
რდილი გამოფარდება და დაიწეებს. აქ აქ სირბილს.  
აწრდილები სწვადანხვანაირი და სწარუღანი არიან.  
შური თავზარდაცემული გაღიას გადაადგებს და გასვალ  
კარისაკენ მიდის. დამე აწრდილებს, დასდევს დასტე-  
რათ და ტიღტიღს უყვირის).

დამე. — ჩქარა, ჩქარა, კარი დაკეტე, თორემ ყველანი გა-  
მოვარდებიან და ვეღარ მოვახერხებთ მაგათ და-  
ჭერას! მას აქეთ, რაც აღამიანს ეგენი აღარათრად  
მიჩინიათ — მოწყენით არიან... (უცხ დასდევს დას-  
ტერად. როცა დატერს — გველებისგან შეკრულ მათ-  
რახით სტუმს თვითურთ მათგანს და ისე შეკვდებს სა-  
შერობილებში). აქ არიან, აქ, მოდით, მიშვერეთ...

ტიღტიღ. — (ძაღვს). — ტილ, ტილ, უშველე...

ძაღვა. — (შეუფს და დამეს შეუღვას). — ჰუმ!.. ჰუმ!.. ჰუმ!..  
ჰუმ!..

ტიღტიღ. — პური სადღაა?

შური. — (დარბაზის სიღრმიდან). — აქ ვახლოვართ, აქ, კარს  
ახლო, რომ არხაით გამეჭკნენ. (სწორედ ამ დროს  
ერთი აწრდილთაგანი შურისაკენ მიდის. შური შიშის-  
გან უყვირავს და სირბილს დაიწეებს).

დამე. — (სამა აწრდილი მოჭყავს) — წამოდით... (ტიღტიღს)

ცოტათი კარი გამოაღე... (ღამე აჩრდილეს მდგომარეობა შექცერას). შედით... (ძაღვად თრ აჩრდილს მოაყვანს კართან). თქვენც მიბძანდით... ხომ იცით, რომ მხოლოდ ყოვლაწმიდა ღამეს შეგიძლიათ გამოსვლა!.. (კარს ჰქექავს).

ტიღტიღ. — (შეორე კართან მივა). — აქ რაღა არის?

ღამე. — განა შენთვის სულ ერთი არ არის? აკი გითხარი, ლურჯი ფრინველი აქ არ არის-მეთქი, და არც არასოდეს ყოფილა. ახლა შენი ნებაა: თუ გესიამოვნება, — გააღე... მანდ სწეულეებანი არიან...

ტიღტიღ. — (გასადებს შესდებს). — ესეც ფრთხილად უნდა გავაღო?..

ღამე. — სულ ერთია... რამდენიმე წელიწადია ადამიანი ისე უწყალოდ ებრძვის მაგათ, ნამეტნავად მას შემდეგ, რაც მიკრობები აღმოაჩინა, რომ საბრალონი სრულიად დაუძღურებულნი არიან, თორემ აი — გააღე და ნახე... (ტიღტიღ კარს გაადებს. იქიდან არა გამოდის რა).

ტიღტიღ. — არ გამოდიან?!

ღამე. — აკი გითხარი, ყველანი გულ-გადაღეულნი და შეუძლოდ არიან... ექიმები უწყალოდ ჰმუსრავენ... შედი, შედი, ნუ გეშინია. (ტიღტიღ შევა მღვიმეში და ისევ მალე გამოვა).

ტიღტიღ. — ლურჯი ფრინველი აქ არ არის... ძალიან ავიდა კი ყოფილან თქვენი სწეულეებანი; ჩემთვის ზედაც არ შემოუხედნიათ... (ერთი ავადმყოფობა გამოვარდება და დარბაზში დარბის. ეს ავადმყოფობა — პატარა ბავშვაა, თბილად ჰგვია; თბილი ქუდი ჰსურავს). დახე, ვიღაც პატარა გამოვარდა... ვინ არის?..

ღამე. — ეგ არაფერი, სურდოა. ყველაზე პატარა და ამასთანავე ყველაზე კარგათაც ეგ არის. ექიმები მაგას ნაკლებ სტანჯავენ. (სურდოს დაუძახებს). აქ მო, აქ, პატარავ... ეგრე აღრე რისთვის გამოხვედი,

ხომ იცი—შენი დრო გახაფხულია... (სურდის ცხვირს აცემინებს, ახველებს და მღვიმეში შევარდება).

ტიღტიღ. — (შემდეგ კარზე უჩვენებს). — ახლა ვნახოთ, აქ რაღა არის...

ღამე. — ფრთხილად იყავ, მანდ ომებია... არასოდეს ყოფილან ისე ძლიერნი, ისე უწყალონი, როგორც ახლა... ვინ იცის, რა მოხდება, თუ ერთი მათგანი გამოგვექცა!.. მადლობა ღმერთს, იმდენად ჩასუქებულნი არიან, რომ სიმარღე აკლიათ. შხათ კი უნდა ვიყვეთ, უცებ მივაწვეთ კარს, რომ არ გამოგვექცნენ... სწრაფად შეიხედე და კარი ისევ მიხურე.

ტიღტიღ. — (ფრთხილად, ოდნავად კადებს კარს, შეიხედავს და ამ წამსვე შეშვეირებს): ჩქარა, ჩქარა, კარს მოაწეკით... დამინახეს თუ არა, ყველანი ჩემსკენ გამოიქცნენ...

ღამე. — მიაწეკით, მიაწეკით, ყველანი ერთად მივაწვეთ... ჰა, პურო, შენ რაღას უდგებარ?... რა ღონივრები არიან... აჰ! მადლობა ღმერთს... ხომ ნახე?..

ტიღტიღ. — ვნახე, ვნახე, ვეებერთელა, საშინელი არიან... ლურჯი ფრინველი, მგონი, მაგათ არა ჰყავთ...

ღამე. — რას ამბობ, ლურჯი ფრინველი მაგათ რო ჰყავდეთ, იმ წამსვე შესკამდნენ... ესეც ხომ ნახე, — არა კმარა?

ტიღტიღ. — არა, ყველაფერი უნდა ვნახო, სინათლემ ესე დამაეალა...

ღამე. — სინათლემ დამაეალა, სინათლემ დამაეალა!.. შშიშრებისათვის დაეალება ადვილია!..

ტიღტიღ. — აქ რაღაა?

ღამე. — აქ სიბნე, ენი და საშინელებანი მყავს დაპატარებულნი...

ტიღტიღ. — შეიძლება გავალო?

- ღამე. — რასაკვირველია, ეგენიც ისეთივე ჭკვიანები არიან, როგორც სწულელებანი...
- ტალტილ. — (კარს ფრთხილად გააღებს და შეიხედავს). — შიგ არავინ არის...
- ღამე. — (მღვიმეში შეიხედავს). — ჰა, სიბნელენო, რას აკეთებთ, — გამოდით, ცოტა ხანს ვაიარ-გამოვიარეთ! სასარგებლოა თქვენთვის... საშინელებანო, თქვენც გამოდით... ნურაფრისა გეშინიათ... (რამდენიმე სიბნელე — ქაღება — შეხვეუღნი თავიდან ფეხებამდის ტანისამოსში, და რამდენიმე საშინელებანი, ესუნჯე ქაღება, შემოსიღნი სამკლავიარო ტანისამოსით, კრძაღვით და მოწიწებით გამოდიან მღვიმეებიდან; ტალტილს დაინახვენ თუ არა, უკანვე შიბობან). რა მოგარბენიებთ, — ბავშვია, ეს რას დაგიშავებთ?.. (ტალტილს) ყველანი მეტის მეტად შშიშრები გახდნენ, აი იმ ორს გარდა, სიღრმეში რომ არიან...
- ტალტილ. — ჰო, ისინი, საზარელი სანახავი რომ არიან...
- ღამე. — იმიტომაც მყავს ორნივე მიჯაჭული... მხოლოდ ამათ არ ეშინიათ ადამიანისა... მაინც კარი მიხურე, თორემ გაჯავრდებიან.
- ტალტილ. — (შეორე კართან) — ეს კარი ესეთი ბნელი რად არის?.. აქ რაღაა?..
- ღამე. — სხვადასხვა საიდუმლოებაა. თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლია — გააღე; მაგრამ ნუ-კი შეხვალ. ფრთხილად იყავი... ჩვენც მზად ვიყოთ, კარს მივაწვეთ, როგორც წყლან...
- ტალტილ. — (მეტის-მეტე საფრთხილათ გააღებს კარებს და მღვიმეში თავს შეჭყოფს) — ოჰ, რა სიცივეა. თვალები დამწვა! ჩქარა მიხურეთ, ჩქარა. შიგნიდან აწვებიან, გამოსვლა უნდათ. (მღვდი, კატა; შქარა და ღამე კარს აწვებიან) ოჰ, რა ვნახე!
- ღამე. — რა იყო?
- ტალტილ. — (დასწკლავს) — არ ვიცი, რაღაც საზარელი რამ იყო.



- ასე გგონია, დევები არიანო... ის უზარმაზარი ჩოიყო, რომელსაც ჩემი დაქვრა უნდოდა?
- ღამე. — ალბად სიჩუმე იქნებოდა. ამ კარის დარაჯი ის არის. როგორც გატყობ—ძალიან საშიში რამ იქნებოდა: ჯერ ისევ გაფითრებული ხარ.
- ტიღტიღ. — დიახ, დიახ, არ შეგონა, თუ ასე საზარელი იქნებოდა. მაგისთანა რამ არასოდეს მინახავს. ხელებიც ჯერ ისევ გაყინული მაქვს.
- ღამე. — მაგაზე უარესებს ნახავ, თუ განაგრძობ.
- ტიღტიღ. — (შეორე კარებთან)—ესა, ეს მღვიმეც საშიშია?
- ღამე. — არა, მანდ მხოლოდ ვარსკვლავებია, რომელნიც აღარათერს აკეთებენ, — ჩემი საკუთარი სურნელება, ციცინათლები, მოციმიციმე ცეცხლნი, ნამი, ბუღბუღლთა სიმღერა და სხვა...
- ტიღტიღ. — ბუღბუღლთა სიმღერა, ვარსკვლავები... ლორჯი ფრინველი სწორედ მანდ უნდა იყოს.
- ღამე. — თუ გსურს, გააღე, — არათერს დაგიშავებენ, საშიშნი არ არიან. (ტიღტიღა გააღებს კარს. მღვიმედან იმ წამსვე გამოვლენ დამაზი ახადგაზდა ქალები — ესენი ვარსკვლავებს წარმოადგენენ. — დარმაზში აქ აქ გაიფურტებიან და ცეკვას დაიწყებენ. ამათ შუუერთდებიან ციცინათელები, ნამი და მოციმიციმე ცეცხლნი; ბუღბუღლის გაღობა კი მოჟეიფება დამის სასახლეს).
- შიტიღ. — (გაზარბუღდა)—ვიშ, რა ლამაზი ქალები არიან.
- ტიღტიღ. — რა საუცხოვოდ ცეკვავენ, რა შშვენნიერთ მღერიან!
- შიტიღ. — აი ის რაღაა, ძლივს რო მოსჩანს?
- ღამე. — ეგ ჩემი ჩრდილის სურნელებაა!
- ტიღტიღ. — აი ისინი?
- ღამე. — ეგენი ტყისა და მინდვრის ნამია: რაკი დაიწყეს ცეკვა — ველარ გაათავებენ. ვშმაკიც ვერ გააჩერებს. (ტაშს შემოჰკრავს) ვარსკვლავნო, კმარა, კმარა, გეყოფათ ცეკვა! რა დროს ცეკვა: ცა



- მოდრუბლულია. ჰა, ჩქარა მღვიმეში შედივარ  
 ყველანი, თორემ ახლავე მზის სხივს მოგიტანთ.  
 (მზის სხივების გაკონკრებაზე ვარსკვლავთა, ციციანთა-  
 ლება და სხვება სანქაროდ მღვიმეში შევარდებიან.  
 ბუღბუღის კალობაც სწორედ ამ დროს შესწყდება).
- ტიღტიღ.— (სადრეშეში, შუაში რა დიდი კარია, იქ მივა)—აი დი-  
 დი, შუალა კარიც.
- ღამე. — (სასტაკად) ეს კარი არ გაალო!
- ტიღტიღ.— რატომ?
- ღამე. — იმიტომ, რომ არ შეიძლება.
- ტიღტიღ.— ლურჯი ფრინველი აქ იმალება—განა? სინათლემ  
 სწორედ ვგრე მითხრა.
- ღამე. — (დედაშვილურად)—ყური დამიგდე, შეილო, მე შენ  
 ყველა გაჩვენე. ისეთი საიდუმლოც კი გაგიმ-  
 ქლავნე, რაც ჯერ არავისთვის, გესმის, არავი-  
 სთვის გამინდვია. როგორც დედას—შვილი, ისე  
 მიყვარხარ; მებრალება შენი უმანკობა, შენი  
 ახალგაზღობა. გღრჩევ, ეს კარი არ გაალო. ნუ,  
 ნუ გაალებ.
- ტიღტიღ.— (შეშრთავი) რა მიზეზია?
- ღამე. — ის მიზეზია, რო შენი დალუბვა არ მინდა. ვინც-  
 კი ეს კარი გაალო, ცოტათი მაინც, ვერც ერთ-  
 მა მათგანმა, გესმის, ვერც ერთმა მათგანმა ვერ  
 იცოცხლა მზის შუქზე. ყოველისფერი საშინელი  
 და საზარელი, რაც-კი შეიძლება კაცმა წარმოიდ-  
 გინოს, შესადარებელი არ არის იმ უმანკო უბე-  
 ლურებასთან, რომელიც თავს დაატყდება ხოლმე  
 და თრთოლას დაწყებინებს ყველა იმას, ვინც კი  
 მოისურვებს ამ უფსკრულის კარის გაღებას და  
 მხოლოდ შიგ შეხედვას. იცოდე, ამ უფსკრულის  
 სახელის ხსენებაც კი ვერავის გაუბედნია. თუ  
 მაინცა და მაინც არ დაიშლი და მოისურვებ ამ  
 კარის გაღებას, ცოტა დაიცადე, რომ მე მაინც შე-



- ვაფარო თავი ჩემს უფანჯრო კოშკში. ახლა შენ  
 იცი. მოიფიქრე. (მიტოლი შემინებულა ტირის და  
 ცდალბს ტიღტიღა მთაშორას კანს).
- ზური. — (კანკაღებს)—ნუ, ნუ გააღებ ამ კარს, ბატონო  
 ჩემო. (დაიხოქებს) მუხლ-მოდრეკილი გვევდრები  
 შებრალებდა. ღამე ნართილსა ბძანებს.
- კატა. — ნუ ინებებთ ჩვენი სკოცხლის მსხვერპლად მო-  
 ტანას.
- ტიღტიღ. — არ შეიძლება, უეჭველად უნდა გავალო...  
 მიტიღ. — (კანკაღათ და ტირილით)—არ მინდა, არა, არ გა-  
 ალო...  
 ტიღტიღ. — შაქარო და პურო, მიტილი გაიყვანეთ აქედან. მე  
 მიინც გავაღებ, რაც უნდა მოხდეს...  
 ღამე. — მინამ დროა, თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ.  
 ზური. — (დახეული დარბის)—მოითმინეთ, მოითმინეთ, საღ-  
 მე მაინც შევეფარო.  
 კატა. — (აგრეთვე მარბის)—მოითმინეთ, მოითმინეთ. (უეუ-  
 ღანი დარბის მუორე მხარეს გაიქცევან და სვეტს  
 მოეფარებან. დიდ კართან მხოლოდ ტიღტიღ და  
 ძღღა და დარბებან).
- ძღღა. — (ქაქანებს და არ იმჩნევს, რომ კმინა)—მე არსად წა-  
 ვალ, არსად: მე არაფრისა მეშინია. ჩემს პატარა  
 ღმერთთან დავრჩები. არ მეშინია, დავრჩები.  
 დავრჩები...  
 ტიღტიღ. — (ძღღას უაღერსებს)—ყოჩაღ, ტიღ, ყოჩაღ! მაკო-  
 ცე, ჩემო ტიღ... აბა, ახლა-კი გამიგრდი... (ტიღ-  
 ტიღ გაუერის თუ არა გასაღებს კარებში, დარბის  
 მუორე მხარეს—ზური, შაქარი, კატა და მიტიღ—შე-  
 შინებულნი შეჭვირებენ. გადატრიალებს თუ არა გა-  
 საღებს, კარი თავისთავად კედლებში შეიწვეა. გა-  
 მოჩნდება არაჩვეულებრივი, ღამაზი, უზარმაზარი ბა-  
 დი. ეს ბაღი სავსეა ვარსკვლავთა და მთვარის სხივე-  
 ბით, რომელნიც ფანტასტიურ შექს ჭიფენ აქაურ-





ქართული  
საზოგადოებრივი

ბას. აურებელი ღურჯა ფრანველები, თითქოს ბადის ჰერი ამითა სესეო, ვარსკვლავიდან ვარსკვლავთან, მთვარის სხაეებთან, ცასა და დედამიწაზე — განუწყვეტლავ და მსიარულად დაფრინავენ საკვირველ ბაღში. ტალღულ გაოცებულა, კონკუბა-დაბნეულა, აღელვებულა, დგას მთვარის შუქში და აქეთ-იქით იეურება) ოჰ, ზეცა! (დაუსხებს ჰურს, შაქარს, კატას და მატაღს). მოდიოთ აქ ჩქარა, მოდიოთ. აქ არიან, აქ... ძლიერს არ ეიპონენეთ!.. ათასობით, მილიონობით, ბილიარდობით არიან: მოდი, მიტილი, მოდი... ტილ, შენც აქ მოდი. მოდიოთ, მიშველეთ. როდღ ეშინიოთ, როდღ მიფრინავენ. რამდენიც გინდა — დაიჭირე. თვითონვე მიცვივიან ხელებში. ხო ჰხედავთ? შეხედე, შეხედე, მთვარის სხივებით იკიებებიან... (ფრანველები ტალღის კარშეში დაფრინავენ). ღმერთო, რამდენი არიან! მიტილი, სადა ხარ? იმდენი ლურჯი ფრთებია, იმდენი ლურჯი ბუმბული სცივიათ, რომ ვერაფერსა ვხედავ. ტილ, ფრთხილად იყავ, არა ატყინო რა, ნახად მოექეცი.

მატილ. — (იმდენი ღურჯა ფრანველი ეხვევა მატაღს, რომ ძღაეს და სჩანს) — მე შვიდი დავიჭირე. ეიშ, როგორ ღონიერად სცემენ ფრთას, ხელიდან მისხლტებიან. ველარ შემოკავენბია.

ტალღა. — ვერც მე, ვერც მე. მეც ბევრი დავიჭირე, ხელებში აღარ მეტევა. ხან გაფრინდებიან, ხან ისევ მოფრინდებიან. ჩვენც ცაში ავვითაცებენ. წავიდეთ, წავიდეთ, სინათლე გველოდება, — როგორ გაუხარდება. წამოდიოთ, წამოდიოთ... (ველანა გამობრბან ბაღიდან. ვეელას, ჰურისა და შაქარის კარდა, მრავალი ფრანველი უჭირავთ ხელში. ფრანველები სცდილობენ ხელაღან გაუსხლტენ. ვეელანა გავლენ მარჯვნივ, საიდანაც შემოვიდნენ, ღამე და კა

ტა. შარტო დაწვებან თუ არა, ბაღთან შიანმუნენი (შეუთ იყურებან).

დაშე. — ვერ დაიჭირეს?..



სინათლე

ტა. — ვერა... აგერ რა სიმაღლეზე დაფრინავს. აგერ, შთეარის სხივზე, — ჰხედავთ? იქ ვერ მისწვდნენ... (ფარდა დაეშვება თუ არა, იმეჯისვე შარტხენა შესრუდნ)





ერქვესული

გამოდის სინათლე, ხოლო მარჯვენა მხარეზე მარჯვენა ტალღა, მარჯვენა და ძლიერი გასარკებელი მარჯვენა. ფრინველები, რომელნიც ხელში ეჭირათ, უძრავად არიან, ფრთები შეკეცილია აქვთ, თავი — ჩამოკიდული, თათქის დახსოვნისა).

სინათლე. — დაიჭირეთ?

ტალღა. — მაშ, მაშ, რამდენიც გინდა. ლურჯი ფრინველები იქ ათასობით იყო. აი, ხომ მხედვე, რამდენი მოგვარეთ. (როცა სინათლეს ფრინველებს აძლევს, შუამხნევს, რომ ეველანი დასოცდნან). ვაიმე, დახოცილან! ვინ დახოცა? (მარჯვენა) შენი ფრინველებიც დაიხოცნენ, მიტილ? შენიც, ტრლ? (ბრაზ-მორყულია გადაჭერის ფრინველებს) ოპ, ნეტა ვიცოდ, ვინ ჩაიღინა ეს სისადაგლე! ოპ, რა უბედური ვარ. (თვლებზე ხელს აიფარებს და ჭეითანებს).

სინათლე. — (აღერისიანად მოესვენს) — ნუ სტორი, ბავშო, ნუ სტორი... ის ლურჯი ფრინველი, რომელსაც დღის შუაზე შეუძლია ცხოვრება, ვერ დაგიჭერია. სხვაგან გაფრინდებოდა სადმე. არა უშავს რა — ეპოვით...

ძლიერი. — (შეუღარ ფრინველებს დაჭერებს) — შეიძლება შევქაშო? (ეველანი მარცხნივ გაუღუნ).

(ფ ა რ დ ა).

გ. ჯაბადარი.





## წ ა ლ - მ უ ხ ა



(ვუძღენი თელავში დაარსებულ ახალ  
წრის, „ახალგაზდა ქართველი“-ს, წევრს  
— ნინო დავით რუსიშვილის ასულს).

ყის პირას სადმე წალ-მუხა  
თავს დასცქეროდა ბუჩქებსა,  
ტან-შეყრილ, მწვანე — ქოჩორა,  
აშრიალებდა ფოთლებსა.

თავი მოსწონდა ლამაზსა,  
ამაყსა, ძარღვებიანსა;  
თავისუფლადა ზრდა იწყო, —  
აღარ მოეღის ზიანსა.

ერთ დროსა ტყერი მოჰფენდა  
მთა-გორებს, ხევის პირებსა;  
წყალნი ანკარა მორწყავდნენ  
მრავალგვარ ხისა ძირებსა.

ვერვინ უშლიდა ამათ ზრდას,  
ბუნება მათზე ხარობდა:  
უვალ ადგილას თამამად  
ჩიტი ფერადი გალობდა.

მახინჯმა ვინმე ბუნებით  
არ დაინანა ეს მხარე, —  
გასწყვიტა ხენი დიდრონი,  
დღენი შეჰყარა მათ მწარე.

მას აქეთ ფესვზე მოსული,  
ქორთა ხე წამოიშალა,  
ყლორტი-ყლორტს მოჰყვა, ბუნებამ  
უნარი არ დაიშალა.

მარტო არ არის ეს წალი,  
მრავალი მისი მზგაესია,  
მალე წალობას გადავლენ,  
მოეკიდებათ ხავსია.

სიღინჯე, დარბაისლობა  
ხეთ მეფეს მეტად შეშვენის;  
წალი რომ მუხად შეიქმნეს —  
სამშობლო მიწა უშველის.

შენ, ახალგაზდა ქართველო,  
წალ-მუხის მზგაესო, მაგარო,  
ფესვზე მოსულო თამამად,  
დუღღუღლის არ შესადარო.

შენც იყავ იმედიანად  
დედა გყავს გონიერია.  
ვინცა სამშობლოს ფასსა სდებს,  
მარადის ღონიერია.

რევ. ერისთავი.





## შ ა შ კ ე ბ ი.

I.



ქვენ, ეი, ეშმაკის წიწილებო, არსად წახვიდეთ, — შაშვეებს დაუდევით, აზავინ დაიპაროს, თორემ თვალით აღარ დამენახათ! შე, ხომ იცით, საქმეზე მივდივარ და საღამომდე ვეღარ დავბრუნდები. ვაიგონეთ, რას ვაბარებთ?

— დიახ, მამილო, დიახ.

— ჰო, ვაიგონეთ, კარგად დაუდევით, შაშვეები არ დაგიკარგოთ.

— დაუდევებით, არ დავკარგავთ, — ეიღე ვაიგონეთა ბაღლებმა.

— განა ადვილია დაკარგვა, — ამბობდა თავისთვის მიმავალი მამა: — ეგ შაშვეები რომ შეპრჩნენ, მაგათ რომ ვალობა ისწავლინ, თიჯოს ხუთ-ხუთი თუმანი ზედ აწერია. თითოში ხუთ-ხუთი, — ეგეც შენი ათი თუმანი. ხუმრობა საქმეა ჩემკვალა ხელმოკლე კაცისთვის?! და რომ ხუმრობა არ არის, ეს მე არა ერთხელ გამომიცდია, არა ერთხელ გამისაღებია ეს მგალობელი საქონელი.



ქართული  
ხელნაწილები

წვერყვითელა რომ წაიდა (წვერყვითელა — მამას ერქვა), ბუნები ეზოში დიდხანს არ გაჩერებულენ, სცივითეს თავი და საბანაოდ წაიდნენ. შაშვებიანი წითელი გალია აივანზე გადმოკიდებული დარჩა. ეზოზე ბალი იყო მობმული; შიგ ბალი, ხუნწი\*) და კუტალა\*\*) მწიფდებოდა. ბაღს იქით სოფელი იწყებოდა: სახლი სახლს ება, ბალი-ბაღს. მეოე იყო მინდორი, დღლე და შთა-გორები; ზედ მდინარეები, საყდრები და ციხე-კოშკები, საამოდ გამოხატული. მზე ახალი ამოსული იყო; ჯერ აღებულიც არ ჰქონდა დილის ნაში. ჰაერში სჯმო სუნი იდგა. ფრინველთ შრიაბული გაჰქონდათ, — ყველა თავისებურად, თავისი ენით გამოსთქვამდა გულის პასუხს. იქვე ხეზე თავისუფალი მაშვი გალობდა თავისუფალ ს. მღერას.

შაშვის წიაპებმა საუბარი გამართეს.

— ბუზლუნავ, ჰა, ბუზლუნავ!

— რა გინდა, ბეცავ?

— რა და—მოდი ჩვენც ვიმღეროთ.

— რა ვიმღეროთ, როცა მაგისთანა არა ვიცით რა.

— ეჰ, ბუზლუნ, შენ სულ „არა ვიცით რა“-ს იძახი.

ჩვენც თუ არაფერი ვიცით, ვინდა რა უნდა იცოდეს? თუ მაგათ ტყეში უსწავლიათ, ჩვენ პატრონის ხელში კი ვერა ვისწავლეთ რა? რა სათქმელია! აფსუს, ჩემო პატრონო! იმიტომ ჩავეჩინებს იმოდენს და იმიტომ იტებავა თავს ჩვენ სწავლესაზე, რომ ამაგი ფუჰად ჩაუტაროთ და „არა ვიცით რა“ ვიძახოთ? მაგათ ე'თი ტყიური ხმა იციან, რაც ყველამაც იცის. ჩვენ ხომ ეგეც იცით და სხვაცა. აბა ის უცხო-უცხოები შემოვძახოთ, თუ მაგ მკივანებმა კუდები არ ჩამოუშვან და გაკვირვებულებმა პირები არ დააღონ. მაშ, აბა ერთი—ბანი.

— რა უნდა იგალობო?—ჰკითხა ბუზლუნამ.

— ახ, პტიჩკა, პევიჩკა, კუდა ტი ლეტიშ...

— არ მომწონს, სხვა მოიგონე რამე.

— არც „ვილ ბილ უ ბაბუშკა“ გინდა?

\*) Смородина \*\*) Крыжовникъ.

— არა.

— მაშ რაღა შავი ქვა გინდა?

— აი, კარდანახული, მეტიუური, ან არაგველი, ან კიდე სხვა რამე. არაგველი ნამდვილი სალაშქრო სიმღერაა, ძალ ან მომწონს. ი ბოლო-ბოლოს რომ ჩაოხვრა უნდა, სწორედ რომ არაგველია, მთიური, გმირული.

— ე, შე კაი კაცო, შენ სულ ეშმაკს და ქაჯს გაიძახი. რა მოსაწონია ეგ შენი სიმღერები? რომ ვარგოდნენ, ჩვენი პატრონი კი არ გვესწაველიდა? როცა ეგ ტყის კაცები მღერიან და პატრონი გაიგონებს, რადა ჯაფრობს და ილანძღება, რად გვიშლის, რომ გაეიგონათ და ვიმღეროთ, თუ კი ვარგანან რადმე?

— მე მაგისი არაფერი მესმის, — უბასუბა ბუზლუნამ: — მე მხოლოდ ის ვიცი, რაც გამიგონია ჩემს ქვეყანაში; ის მომწონს, რაც მაგონებს სამშობლოს და დაკარგულ ბედნიერებას, დედ-მამას, და-ძმებს.

— შენ სულ უტვინო ყოფილხარ! რა სამშობლო, ვინ დედ-მამა? ჩემი სამშობლოც, ჩემი დედ-მამა და და-ძმებიც — ჩემი პატრონია. მე შენ გითხრა, მშია და მწყურია, არა, ან მკივა? ერთი-ორი დღე მაინც შენზე მეტი არ მიცოცხლია, ერთი-ორი ბუმბული შენზე მეტი არ გამომიცივლია? შენ კი უნდა იცოდე, რაც სჯობია, და მე კი არა, შე კაი კაცო? ნუ ბიყუშობ: ვიმღეროთ, და რომ მოვიდეს პატრონი, ნასიამოვნო დარჩეს.

შაშვებმა „ჟილ-ბილ უ ბაბუშკი“ იგალობეს.

დუეტო გვარიანი გამოვიდა და ფრინველთათვის მართლა საუცხოვოც.

თავისუფალი შაშვიც ძალიან დაინტერესა ამ სიმღერამ! არ სცოდნოდა ტყვეების ამბავი; როცა ამათი სიმღერა გაიგონა, უახლოვეს ბალის ხეზე გადმოვიდა და გამოეღაპარაკა შაშველებს. საუბარი მისი იყო წმინდა შაშვეური და თავისუფალი; საესე იყო შემოქმედის, ბუნების, მამულის, ნათესავეების და ტოლ-ამხანაგების სიყვარულით, — და იგალობა





ქართული  
ლიტერატურა

ღრმად ნაგრძნობი და ტკბილ-გასაგონი სიმღერა. შეაქო მთა, შეაქო ბარი, დახატა მინდორი, დაურთო არშიად ტყე; შეაქო მოვიშვიშე მდინარენი და მშვიდად მოლაკლაკე წყარონი; უმღერა ძმობას, ერთობას, თავისუფლებას; უმღერა მოყვასის ერთგულობას და ერთსულობას; უმღერა დაუშრეტელ წყაროს ბედნიერებისას, სიყვარულს; დაჰკენესა ღარიბთა, ობოლთა, მშვიერთა, მგლოვიარეთა, ყველა დაჩაგრულთა და უბედურთა სამწუხარო ხედრსა; შეასხა ქებათა-ქება სამშობლოსთვის თავდადებულთა ღვაწლსა; იმათ შეუპოვარ, მეღვაღ ბრძოლას და საანდერძო ძლიევამოსილობას ეამსა გამარჯვებისასა, პატიმრობისასა და წამებისასა.

ტყვე შაშვებს არ ჰსმენოდათ არას ღროს ამისთანა სიმღერა. ბუზღუნა სმენად გადაიქცა: აღარ აშორებდა თვალსა და ყურს ამ თავისუფლების მახარობელს. ახლა უფრო დაუტკბა იმას სამშობლო და თავისუფლება, ახლა უფრო შემოიყვარა გულსა; თავი ველარ შეიკავა და ტირილი წაჰსქდა.

შაშვმა გაათავა ვალობა, მერე შაშვუნებს მიუბრუნდა და აღერსიანად ჰკითხა: „თქვენ რადლა ჰსხედბართ ვალიაში, როცა მთელი საჩიტეთი თავისუფალია? განა არ მოგწყინდათ ოთხ კედელს შუა სხდომა? არ მოგწყურდათ თავისუფალი ნაეარდი ამ სიამისთვის გაჩენილ თვალუწვდენ არემარეზე? არ სწუხართ თქვენი სამშობლოსთვის; აღარ გახსოვთ მშობლები და მათი ტკბილი აღერსი, არ დაგენატრათ ტოლამხანაგების ხმა, აღარ მოგაგონდებათ ტიალი თავისუფლება?“

— ოჰ, ვენაცვალე შენ მოსვლას, ვენაცვალე შენ ხმას? კიდევაც რომ მოგწყურდა, კიდევაც რომ დაგვენატრა თავისუფლება და სამშობლო ქვეყანაც, — შეჰკენესა ბუზღუნამ.

— მაშ გამოძყევით, წავიდეთ ჩვენს ძმებთან, — უთხრა თავისუფალმა შაშვმა, მიფრინდა და გაულო ვალიის კარი. ბუზღუნა მაშინვე გამოხტა. ისა და მისი მხსნელი ერთხანად იქვე ვალიის პირდაპირ ხეზე დასხდნენ.

— აბა, შენც გამოძვერ, — გავუდგეთ გზას, — ეუბნებოდა დიდი შაშვი ბეცას.

ბეცა ვერ გამოკვეთილიყო, რა ხდებოდა მის გარშემო, ან ბუზლუნამ რა ჰქმნა. მისთვის ყოველად წარმოუდგენელი იყო, რომ პატრონის დაუკითხავად ვისმე შესძლებოდა გარედ გასვლა. ამას ის პირდაპირ ლაღატს ეძახდა. ის თანდათან გამოერკვა და თვალდათვალ დაინახა ყველაფერი, — დაინახა გალიიდან გასული და სხვა შაშვთან დამოწაფებული ამხანაგი, ი ა მაშინ, ღმერთო, რაოდენი იყო განცვიფრება და განრისხება მისი! იმან არც აცივა, არც აცხელა, და პირდაპირ ახალა დიდ შაშვს: — აბა, შენც გამოძვერ, — წავიდეთო! ღვთის რისხვა შენს თავსა და ტანსა, შე წყეულო, შენა! წადი, მანდ არა ხარ, და ფეხიც გაცხმობია, რომ აქ აღარ მოხვოდე ღვთის შემდეგ, შე ლაწირაკო, შე იუდაე, შენა! ადე, დაიკარგე, შე წუწკო, შე მოლაღატვე! ეგ ბალანა თან არ გაიყოლო, — აქ გამოგზავნე, თორემ სად ჩაუძვრები ჩემ პატრონს? არ ვიცი — რა შეილიცა ხარ? შენ ჩენი განთავისუფლება კი არა, შე ვიცი, რაც გინდა. იმით არ მოხველ, რომ ჩვენ დაგვიმეგობრო და პატრონის ბალი აიკლო, შე ონავარო შენა; ადე, მოშორდი მანდაურობას, თორემ, თუ პატრონს დაეუძახე...

მახარობელი ეხვეწებოდა: „თავს ნუ ჰლუპავ, — ადე, გამოგვე, ნუ ჯიუტობო!“ მაგრამ ბეცას ვერაფერი გააგონა. იმან ხმა-მალლა დაიწყო ყვირილა: „ეი, პატრონო, ეი, ამხანაგებო, მიშველეთ, ყ ჩალები დაგვეცნენ, ბუზლუნა ტყვედ მიჰყავთ, ბალს იკლებენო!“

ახლა ტყუილად და ველაპარაკებით: თავი გავანებოთ და მერე კიდევ ვნახოთო, — უთხრა შაშვმა ბუზლუნას და გაფრინდნენ ორივენი ტყისკენ!

## II.

ტყვე შაშუნის ამბავი შაშვთა პრეზიდენტს მოახსენეს. იმან კრება დანიშნა და შეიქმნა ბჭობა ბეცას გამოპოვნებისა და განთავისუფლების შესახებ. დაასახელეს პირნიც, ვისაც შეეძლო ეტვირთნა ეს მძიმე საქმე. ერთი ორატორთაგანი წინა-

აღუდგა სხვადასხვა პირთა მიგზავნის აზრს და მკვერმეტყველურად დაუმტკაცა კრებას, რომ ამ მიზნისთვის უფრო შესაფერი ქნება ტყვის დედმამაო. დიდი ბაასის შემდეგ კრებამ მიიღო ეს აზრი; მაგრამ საქმე ის იყო, რომ არ იცოდნენ — ბეცას დედმამა ცოცხალი იყო, თუ არა. მაშინ კრების დადგენილების თანახმად თავმჯდომარემ დაავალა მანდატურთუხუცესს დაეგზავნა განცხადებანი საშაშვეთში, რომ შავან-შავანი წლოვანების, სახელ-გვარის, სქესის, შეხედულების და წლოვანების შვიდი თუ ვისმე დაჰკარგვია, აქ, საშაშვეთის საერო კრებაზე გამოცხადდესო. ამ განცხადებით ბეცას დედ-მამა იპოვნეს და ბეცასთან მიჰგზავნეს. მაგრამ არაფერი გამოვიდა: ბეცამ ისინი თავიდან მოიშორა. „ტყუილად გარჯილხართო“, — უთხრა: — თავი ტყუილად შეგიწუხებიათ, — წაბრძანდიაო. შვილები სხვებაცა გყავთ, თქვენ იმათზე გაიხარეთ, ჩემი ნურაფერი გენაღვლებათ, — მე ძალიან კაი პატრონის ხელში ვარო. თქვენი თავი მე არაფერში მჭირია: თუ მე დავრჩები უთქვენოდ, თქვენც უჩემოდ გაჰძლეთ, და კვლავ აქ აღარც მოხვიდეთ, თორემ თავს ტყუილად გაიბიბრებთო“.

ბეცას დედ-მამა თვალ-სრემლიანი მეორე დღეს წარსდგნენ საერო კრების წინაშე, და ის იყო გაათავეს შვილის შესახებ მოხსენება, რომ ერთმა ყმაწვილმა შაშვემა ახალი გაზეთი შემოიტანა. იქ ეწერა ახალ ამბებში: „წვერყვითელას ოჯახს მწუხარება ეწვია. ბეცასთან გუშინ დედმამა ყოფილიყო საიღუმლოდ და ცდილიყო ბეცას გაპარებას, მაგრამ ჰქვიანი ყმაწვილი არ გაჰყოლოდა. საცოდავს ეს ამბავი წვერყვითელასთვის გაემხილა. იმას, რასაკვირველია, სასიამოვნოდ დარჩენოდა შვილობილის ერთგულება; ნიშნად მამობრივი სიყვარულისა გალიის კარი გაეღო და ეთქვა: „შვილო, აი კარს გიღებ, ასე გენდობი: გაიარ-გამოიარე, როცა გინდა, და არსად კი წახვიდე, — მანდვე შედი გალიაშიო“.

ბეცა სულაც არ გასულიყო კარში. (დახეთ მის ერთგულებას!) ამ დროს დაღამებულიყო. პატრონი ახლა ვახშმად დამჯდარიყო; სტუმრები ეყოლოდა, თავგამბით ყოფილიყო. გა-

ლიის კარი გაღებული, დარჩენილიყო; შესულიყო მისი ხვადი კატა და საბრალო ბეცა შეეცამა. დილას აივნის იატაკზე ბეცას ნისკარტი, ბწყლები და ბუმბული და ეპოვნათ, ისე გამოეხრა იმ საოხროს“.

ამ ამბავმა ყველაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხოლო ყველა იმ აზრისა იყო: „ახი კია, რატომ არ წამოვიდაო!“ დედ-მამა ხომ მაინც სტიროდა და სტიროდა.

ბაჩანა.



## შ ე მ ო დ ა მ ე ბ ა ბ ა დ შ ი.

(დაღვიწყარ ექიმ კ. შიქაბერიძეს).



იტების ჭუკჭუკი, ბავშვების წკრიალი,  
სალამოს სინაზე, ფერების ცქრიალი.  
ზეფირის სრიალი, ფოთოლთა შრიალი,  
უსიტყვეო მუსიკა... ოცნების ტრფიალი...  
დავაფრქვევ უთვალავ ხორცშესხმულ ზმანებას.  
წუთიერ სიმშვიდით თაყვანს ვცემ განგებას.

მიმკრალი.





# დაკარგული ბავშვის თაგუბანსავალი.

I

უჩაღები.

**Q**იდ და დაბურულ ტყის ახლოს ამაყად ამართულიყო მშვენიერი კოშკი. ეს კოშკი ეკუთვნოდა სახელგანთქმულ რაინდს, გრაფ ეიხენფელსს, რომელიც ცხოვრობდა ამ კოშკში თავისი ღამაში მეუღლით და ვაჟიშვილით. პატარა გრაფი, ჰენრიხ ფონ ეიხენფელსი, იყო ბედნიერება და სიამაყე მშობლებისა. რა ბედნიერნი იყვნენ ისინი, როდესაც პატარა ჰენრიხმა პირველად ამოიღვა ენა! რა განუსაზღვრელი სიხარულით ავსებდა მისი ტიტინი მშობლების გულს!

მაგრამ გათენდა უბედური დღე. რაინდი ვალდებული იყო მოშორებოდა თავის სუკვარელ კოლ-შვილს, ოჯახს და წასულიყო ოშში.

კოშკში დარჩა რაინდის მეუღლე, თავისი პატარა შვილით და მსახურებით.

განვლო რამდენიმე თვემ. ერთ საღამოს, როდესაც რაინდის ახალგაზდა მეუღლე მძინარე შვილის საწოლთან იჯდა, შემოვიდა შიკრიკი. მან ძალიან სამწუხარო ამბავი მოიტანა: გრაფი მძიმედ დაეჭრათ ოშში. ის სიკვდილის პირს იყო და სთხოვდა მეუღლეს უკანასკნელად კიდევ ენახა.

საშინლად დაღონდა რაინდის მეუღლე და ტირილით წარმოსთქვა: „მე უმკველად უნდა წავიდე ჩემი დაქრილი მეუღლის სანახავად, მაგრამ რა ვუყო ბავშს, რომლის წაყვანა შეუძლებელია?! ბავშვი უნდა მარტო დავტოვო კოშკში, სანამ დაებრუნდები“.



დაუძახა ძიძას და უთხრა: —

— მარგარიტა, ამ საღამოს უეჭველად უნდა წავიღე ჩემი მუღულის სანახავად. ის მძიმედაა დაქრილი და სურს უკანასკნელად ჩემი ნახვა. ბავშვის წაყენა შეუძლებელია, და ამიტომ ვტოვებ მას აქ. არც დღე და არც ღამე არ მოშორდე ბავშვს და ერთგულად უგდე ყური. ერთ წამსაც არ მოაშორო თვალი. დარწმუნებული ვარ, რომ ბავშვს უვნებელს და ჯანსაღს დამახვედრებ.

მარგარიტამ მისცა სიტყვა, რომ ბავშვს ერთგულად და კარგად მოუვლიდა, რომ ის ერთ წამსაც არ მოშორდებოდა ბავშვს და უვნებელს დაახვედრებდა დედას.

მართლაც ძიძა ერთხანს ერთგულად და კარგად უვლიდა ბავშვს, თვალს არ აშორებდა და მუდამ მასთან იყო. ბავშვიც კარგად და მზიარულად გრძნობდა თავს, მაგრამ ერთ დღეს, ზედმიწევნით სამ საათზე, როდესაც ბავშვი თავის საწოლში იწვა და მაგრად ეძინა, მარგარიტას ეზოდან მუსიკის ხმა შემოესმა. მარგარიტა ახალგაზდა იყო; ცეკვაც ძალიან უყვარდა; და მუსიკის ხმა რომ შემოესმა, გაეხარდა და ცეკვის გუნებაზე დადგა.

როდესაც ბატონებს გაისტუმრებდნენ, მსახურნი მუშაობას თავს ანებებდნენ და მზიარულად ატარებდნენ დროს. ახლაც მოეყარათ თავი ეზოში და ცეკვა გაეჩაღებინათ. მარგარიტა მივიდა ფანჯარასთან და უყურებდა. გაიღო კარები, და ოთახში შემოვიდა ახალგაზდა მსახური.

— მარგარიტა, — უთხრა მან ძიძას, — წამოდი ეზოში: მე და შენ ერთად ვიცეკვით. შენსავით კარგად არავინ არ ცეკვავს.

— არა, არ შემიძლია წამოსვლა, — უთხრა მან: — ბავშვს სძინავს, და ვერ დავანებებ თავს. ქალბატონს მივეცი სიტყვა, რომ ბავშვს ერთ წამსაც არ მოვშორდები.

— წამოდი, ჩემო მარგარიტა! — ებვეწებოდა ახალგაზდა. — ბავშვს მაგრად სძინავს. ერთხელ ვიცეკვით, და მერე უკან დაბრუნდი.

ის ბევრს ეხვეწა. მარგარიტასაც ძალიან უნდოდა ცეკვა, და ამიტომ დასთანხმდა.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ იცეკვავდა მარგარიტა, და მალე დაბრუნდებოდა ბავშვთან.

მაგრამ მუსიკა მშვენიერი იყო; მოცეკვავეებიც კარგად და მხიარულად ცეკვავდნენ. მარგარიტა გაერთო და სულ გადავიწყდა ბავშვიც და მიცემული სიტყვაც. მხოლოდ მაშინ, როდესაც მუსიკა შესწყდა და მოცეკვავენი დაიშალნენ, მოაგონდა მარგარიტას ბავშვი და გაიქცა მისკენ.

აირბინა კიბე. ირგვლივ სიჩუმე მეფობდა. შევარდა ოთახში და გაშეშებული მიაჩერდა ბავშვის საწოლს.

ყველაფერი რიგზე იყო; მხოლოდ კარები, რომელიც მეორე კიბისკენ გადიოდა, ღია იყო, ბავშვის საწოლი კი—ცარიელი.

— შეიძლება ბავშვი დამეშალა, — გაიფიქრა ძიძამ და მსწრაფლ დასძებნა ყველგან; მაგრამ ბავშვი არსად იყო. შიშისაგან გულ-გახეთქილმა ტირილი მორთო.

მოცვიდნენ ყველა მსახურები და, რა გაოგეს, რაში იყო საქმე, დაიწყეს მათაც გაფაციცებით ბავშვის ძებნა; მაგრამ ამაოდ: ვერც მათ იპოვნეს ბავშვი. ბავშვის ძებნაში შენიშნეს, რომ რაინდის მეუღლის სურათიც დაკარგულიყო.

მარგარიტა გულამომგდარი სტიროდა და თან მოსთქვამდა:—

— ბავშვი დაიკარგა, გაქრა! რატომ დავანებე მე უბედურმა თავი და დავტოვე მარტო! რატომ წავედი საცეკვაოდ!

— არა, ბავშვი თავისით არ დაიკარგებოდა, — ამობდნენ მსახურნი: — ის უეჭველად ვინმემ მოიპარა. მემუსიკე უთუოდ ყმალი იყო. როდესაც ის აქ მუსიკას უკრავდა, ვინმე იმის ამხანაგი შემოვიდოდა ბავშვის ოთახში და მძინარე ბავშვს საწოლიდან ტყეში გაიტაცებდა.

როდესაც ყველა მსახურები, ბავშვის ოთახში შეგროვიდნენ, სხვადასხვა აზრს გამოსთქვამდნენ ბავშვის დაკარგვის შესახებ, ეზოში შემოვიდა ეტლი. გრაფი მორჩენილიყო და მეუ

დღე ჩქარა შინ დაებრუნებინა, რადგანაც ეწინოდათ — ბავშვი არაფერი მოსვლოდა უდევოთ.

გრაფის მეუღლე ხალიან გაჰკვირდა, როდესაც ეზოში არავინ დახვდა. სწრაფად აირბინა კიბე და მიაშურა საყვარელი შვილის ოთახს.

შესვლის უმაღლეს მან დაინახა დაღონებული და შეშინებული მსახურები, ატირებული ძიძა და ბავშვის ცარიელი საწოლი. ის მთლად გაფითრდა; აკანკალებული ხმით შეეკითხა ძიძას: —

— რა მოხდა? სად არის ჩემი შვილი? მითხარი ჩქარა, სად არის ჩემი საყვარელი შვილი?

მსახურებმა ერთხანს ვერ მოახერხეს სიტყვის თქმა, მაგრამ მერე მოიკრიბეს ძალ-ღონე და ყველაფერი უამბეს უბედურ დედას.

— ჩემი საყვარელი შვილი მოუპარავთ, — წამოიძახა დედამ.

— ის მემუსიკე ბავშვების ჯურდი ყოფილა. შესხედით ცხენებზე, გასწიეთ საჩქაროდ ტყეში და მომგვარეთ ჩემი შვილი. ჯერ კიდევ იმედი მაქვს, რომ სადმე მივაგნებთ. იმათ ცხენები არ ჰყოლიათ და აქედან შორს არ იქნებიან. ჩქარა, ჩქარა წადით!

მსახურები სწრაფად გაიქცნენ, შესხდნენ ცხენებზე, ყოველი მხრიდან ტყეს მოედნენ. ბევრი ეძებს, მაგრამ ვერც ბავშვი, და ვერც მემუსიკე ვერ იპოვნეს.

დედა მწარედ მოსთქვამდა დაკარგულ ბავშვს. დღე-ღამე სულ თავის შვილზე ფიქრობდა და ხშირად ამბობდა გულში: —

— ჩემი ბავშვი იმიტომ მოიპარეს, რომ მერე იმის გამოსყიდვაში ბევრი ფული აიღონ. რატომ არ მოდიან? ოღონდ ბავშვი დამიბრუნონ, და მივცემ ჩემ საცხოვრებელს. ოჰ, ჩემი მეუღლე მაინც იყოს აქ! მიწერით კი არას გზით არ მივწერ ჩენი საყვარელი შვილის დაკარგვის ამბავს! ის ვალდებულია იბრძოლოს სამშობლოსათვის; მისი სახლში დაბრუნება შეუძლებელია; ჩემი წერილი კი მხოლოდ ააშფოთებს და შეაწუხებს; შველით კი ვერას უშველის ბავშვს, სანამ არ დაბრუნდება. მხოლოდ როცა ომი გათავდება, შეიძლება მაშინ რამე





უშველოს ჩვენ საწყალ შვილს. შეიძლება მანამდის ყაჩაღებმა ბავშვი თვითონ დაგვიბრუნონ.

განუწყვეტლივ სტიროდა და მოსთქვამდა უბედური დედა.

ძიძამ ველარ გაუძლო ქალბატონის ასეთ ტანჯვა—ვაებას და სთქვა:—

— აღარ შემიძლია აქ დარჩენა. არ შემიძლია ვუყურო ქალბატონის გამუდმებულ ტირილს. ბავშვის დაკარგვა ჩემი ბრალია და სასჯელის ღირსი ვარ. არ შემიძლია მშვიდად და ბედნიერად ვიგრძნო თავი, სანამ ბავშვი ისევ არ დაუბრუნდება მშობლებს. არ შემიძლია ამ კოშკში დარჩენა და უბედური დედის სტერა. უნდა გადავიკარგო აქედან.

საწყალი მარგარიტა გაშორდა იქაურობას და უცხო მზარეს უნდა ეშოვნა ლუკმა პური.

## II

### გამოქვაბული

იმ დროს როდესაც მსახურნი ეზოში მზიარულობდნენ, ბავშვის ოთახში შეიპარა ვიღაც დედაბერი. მიიპარა ბავშვის საწოლთან, დააელო მძინარეს ხელი და გასწია კარებისაკენ. იქვე მაგიდაზე შენიშნა სურათი, რომელიც ძვირფასი ქვების ჩარჩოში იყო ვაკეთებული. დააელო იმასაც ხელი და საჩქაროდ გაიქცა. ჩაიარა ჩუმად კიბე, გაჟარა შეუმჩნეველად ეზოს კარები, შევიდა ტყეში და მალე მიუახლოვდა ერთ მთას. ამ მთაში ეპოვნათ ყაჩაღებს ძველი გამოქვაბული და შიგ დაბინავებულიყვნენ.

დედაბერმა მალე მიაღწია ერთ ადგილს, რომელიც ვაუვალრი ბუჩქებით იყო მოფენილი. ის შეძერა ბუჩქების ქვეშ და გაჭირვებულ კოცვით მალე მიაგნო პატარა კარებს. სწრაფად გააღო კლიტე და შევიდა ხერელში. კარები ისევ მაგრა დაკეტა და ანთო სანათრ.

მხოლოდ ახლა შეიძლება და ხერელის გარჩევა და შიგ გზის ვაგნება. ხერელში ძალიან ბნელოდა და ოდნავ მბეუტავი



სანათი ვერ გაჰფანტავდა ამ სიბნელეს. მისი მკრთალი მზოლოდ ირგვლივ რამდენიმე ნაბიჯზე ეფინებოდა.

დედაბერი სანათით და ბავშვით ხელში ძლივს მიდიოდა ხერხელში და ბევრი სიარულის შემდეგ შიადგა ოთახის შზგავს ადგილს. ამ ადგილას იყრიდნენ ისევ თავს ყველა მზრისაკენ მიმართული ხერხელები. ეს ოთახი დიდი და ფართო იყო; აქ იყო ყაჩაღების საწყობი; აქ იყო თავმოყრილი ათასნაირი საგნები—ყაჩაღების ნაღველი.

ბავშმა გაიღვიძა და ტირილი დაიწყო. დედაბერმა ცოტაოდენი რძე დააღვეინა. ბავშვი ერთხანს მიყუჩდა, მაგრამ მალე მორთო ისევ ტირილი. დედაბერი მას ყურადღებას არ აქცევდა: ბავშვის ტირილი მას სრულიადაც არ აწუხებდა, და ამიტომ პატარა ჰენრიხსაც შეეძლო ეტირნა იმდენი, რამდენიც სურდა.

ბავშვი, მიჩვეული ლამაზ და ჩად ოთახს, სადაც მუდამ გარს ეხვია მზიარული, მოსიყვარულე ხალხი, ვერ მიმხედარიყო, თუ რატომ ბნელოდა იქ ისე საშინლად და რატომ არაიენ აქცევდა ყურადღებას მის ტირილს.

მაგრამ რადგანაც პატარა ჰენრიხი ჰკვიანი და კეთილი ბავშვი იყო, მალე დაანება ტირილს თავი. მან უეცრად თვალი მოჰკრა თავის დედის სურათს, რომელიც დედაბერს სხვა ნივთებთან ერთად კუთხეში მიეგდო. ბავშმა სტაცა სწრაფად ხელი სურათს, აკოცა და გულამოსკვნით „დედა, დედა“ წამოიძახა.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა მემუსიკეც.

— რა კარგია, მოხუცო, რომ ბავშვი მოიპარე!—უთხრა მან დედაბერს.—ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ამ ბავშვში აუარებელ ფულს მოგვცემენ. სხვა არაფერი მოგიპარავს?

— როგორ, თუ არაფერი!—შესძახა დედაბერმა:—ერთი სურათიც მოგიპარე. შეხედე—მთელი ჩარჩო ძვირფასი თვლებითაა გაკეთებული! ძალიან ძვირფასი რამ არის!

ყაჩაღმა გამოსტაცა ხელიდან ბავშვს სურათი. ბავშმა ისევ დაიწყო ტირილი და მალალი ხმით ყვიროდა:—

— დედა, დედა!



ქართული  
ლიტერატურის  
ისტორია

— სადაგელო ბავშვო, — შეპყვირა ყაჩაღმა, — შენცა დედა? აჰა, ინებე დედაშენი! — და გადაუგდო ისევე სურათი, რომელიც ჩარჩოდან ამოვლიოჯა.

ბავშმა ტირილს თავი დაანება; დაუწყა დედის სურათს კოცნა და მეტის აღტაცებით საამურად ილიმებოდა.

უკვე რამდენიმე კვირა გავიდა, რაც პატარა ჰენრიხი იმ გამოქვამულში ცხოვრობდა.

ერთხელ ყაჩაღები გლაბა გუნებაზე დაბრუნდნენ შინ და სთქვეს:—

— ძალიან ცუდათ მოვიქცეთ, ბავშვი რომ მოვიპარეთ! ეს არის ახლა გამოაქვეყნა მსაჯულმა — ბავშვის ქურდები სიკვდილით დაისჯებიანო. ბავშვი ისე უნდა დაემალოთ, რომ შავის აქ ყოფნა ვერაფერს გაიგოს. ეგ ჯერ პატარაა და არაფერი გაეგება; მაგას სულ გადაავიწყდება ყველაფერი და ეგონება, რომ ჩვენი შვილია. მერე კი მივაჩვევთ ყაჩაღობას და ვამუშავებთ. სხვა გზა არ არის, — ბავშვს ველარ დაეუბრუნებთ პატრონს.

გავიდა დრო. დედაბერი ერთ წამსაც არ შორდებოდა ბავშვს და მასთან ერთად განუწყვეტლივ გამოქვამულში ცხოვრობდა. აქ სვამდა, სჭამდა, თამაშობდა და ეძინა პატარა ჰენრიხს. მან არც კი იცოდა, რომ ქვეყანაზე ამ გამოქვამულის გარდა კიდევ რამე იყო, და ამიტომ ბავშვი იმითიც კმაყოფილი იყო, რაც ჰქონდა? დედაბერმა მას ჩაუნერგა შიში სიბნელისადმი, და ამიტომ იყო, რომ პატარა ჰენრიხი ვერ შორდებოდა სანათს და დედიბერსაც გული დამშვიდებული ჰქონდა, რადგანაც იცოდა — ბავშვი შიშით ვერსად გაიპარებოდა. ან კი სად უნდა გაპარულიყო პატარა გრაფი? მას აღარაფერი ახსოვდა და დარწმუნებული იყო, რომ ის ყაჩაღების ოჯახს ეკუთვნოდა.

როდესაც ჰენრიხი წამოიზარდა, ის ხშირად თამაშობდა კეთილ ახალგაზდა ყაჩაღთან, რომელიც მასავეთ ბავშობაში მოეპარათ და ქურდობა ესწავლებინათ.

ეს ახალგაზდა ძალიან კარგად ექცეოდა ბავშვს. ხშირად



სათამაშოებიც მოკმონდა მისთვის. ერთხელ მოუტანა ხისაგან გაკეთებული ბატკანი, მაკრატელი, ფერადი ქალაღები და ასწავლა ყვავილების და ბალახის გაკეთება. ასე ერთობოდა პატარა ჰენრიხი გამოქვამულში, რომელსაც არც დღე და არც ღამე არ შორდებოდა.

ბავშვი უკვე რვა წლისა გახდა. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დაუნახავს მზის მოელეარე შუქი და ბუნების თვალწარმტაცი შვენება. მან ისიც კი არ იცოდა, თუ ყაჩაღებისა და დედაბრის გარდა სხვა ხალხიც იყო ქვეყანაზე.

დედაბერი ახლა მთლად მოხუცდა. მას ძილის მეტი აღარაფერი აღარ შეეძლო, და მეტი საქმეც არ ჰქონდა. როცა ყაჩაღები თავიანთ საქმეზე წაეიღოდნენ და ირგვლივ ყველაფერი მიყუჩდებოდა, დედაბერი ხერინვას ამოუშვებდა. საწყალი ჰენრიხი იყო მარტო გამოქვამულში და ხმის გამცემიც არავინ ჰყავდა. დაღონებული და მარტოობით შეწუხებული ბავშვი ხშირად ეხვეწებოდა თავის მეგობარ ახალგაზდას:

— წამიყვანე ერთხელ მაინც თან! მხოლოდ სანათი წამოიღე, რადგანაც იქით ძალიან ბნელა. ამ სანათით სინათლე მხოლოდ ცოტაზე სწვდება და იქით ვერას დაგინახავთ.

— არა, არა, — უპასუხებდა ახალგაზდა: — შენი წამოსვლა არ შეიძლება. დარჩი აქ და ყვავილები გააკეთე.

(შემდეგი იქნება).

ნინო ნინიძე.





## ქართველების უძველეს ისტორიიდან

(შემდეგი).

**ზღვის პირის ხამურაბის სიკვდილის შემდგომ, მე-XV' საუკუნისასტია.** ქრ. წინად, ბაბილონის სამხრეთში დასახლებული სუმერები განდგნენ და ქალაქ ისინის მეთაურობით დააარსეს საკუთარი სამთავრო, რომელშიაც გამეფდა ეგრედ-წოდებული ზღვისპირის დინასტია. 1800 წ. ქრ. წ. ამ დინასტიის მეფე გულკიბერი შეეცადა მთელი ბაბილონის თავის ტახტის გარშემო შემოკრებას, მაგრამ ამაოდ, რადგანაც ბრძოლა მოუხდა კასებთან. საბოლოოდ ქ. ისინის სამეფო დამარცხდა მეფე აგამალის დროს, ისე რომ იძულებული იყვნენ ბაბილონზე უარი ეთქვათ და დასჯერებოდნენ თავის მიწა-წყალს.

**კასრები** უდიდესი გავლენა ჰქონდათ ბაბილონის ბედზე (კასეილები). ელამიტელების მეზობლებს, ხოასპის აუზში მცხოვრებ კასებს. კასები ბაბილონს პირველად მე-XX საუკუნეში შემოესივნენ და დაარბიეს, მაგრამ შენარჩუნებით ვერ შეინარჩუნეს და ისევ უკან გაბრუნდნენ. ✦

მეორედ და უფრო მტკიცედ კასეიელები შემოესივნენ ბაბილონს 1800 წ. ქრ. წ. და დაიმორჩალეს კიდევაც. ისე რომ სუმერისა და აკადის ტახტზე გამეფდა კასების ახალი დინასტია, და ამ დინასტიის პირველმა მეფემ თავის თავს უწოდა: „მეფე ოთხთავე მხარისა, მეფე სუმერისა და აკადისა. მეფე ბაბილონისა“.

ამგვარად კასების მეფეებმა თავის თავს დაარქვეს მთელი წინა აზიის მეფე, თუმცა ელამიც თავისუფალი იყო და მესოპოტამიაც და ზღვის პირიც მათ არ ემორჩილებოდათ. ბაბილონში ბატონობისათვის კასებს ბრძოლა მოუხდათ ქ. ისინის მეფეებთან, მაგრამ როგორც აღნიშნული იყო, გამარჯვებულნი



და მცირე ხნით მათი სამეფოც კი დაიმორჩილეს. კასსებმა ბაბილონს დაარქვეს კარ-დუნიაში და ამით თითქოს სთარგმნეს წინანდელი სახელი „ბაბილონი“ — ღმერთების კარი, რომელიც აგრედვე იყო თარგმანი სუმერული „კაღინგირ“ (თუ დინტირ), რომელსაც იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც ბაბილონს, ან კარდუნიაშს.

კასსები ბაბილონის დაპყრობის შემდგომ ცდილობდნენ შეზობელ ქვეყნების დაპყრობას. ერთმა მათთაგანმა, მეფე აგუმა II დაამარცხა სხვათა შორის 1650 წელს ხეთებიც და ამის გამო თავისი სახელწოდება კიდევ უფრო გაათართოვა: და თავის თავს უწოდებდა „ღმერთების საყვარელ და მოსიყვარულე მეფეს, მეფეს კასებისა და აკადისა, მეფეს ბაბილონის ფართე სამეფოსი, მეფეს პანდასი და ალენისა, მეფეს უგუნური გუთიებისა, მეფეს გამგებელს ქვეყნების ოთხთავე მხარისა“.

ილაშქრებდნენ კასსები აგრეთვე სირიისკენაც, და ეგვიპტელებს დიდ მეთოქეობას უწევდნენ. მაგრამ საბოლოოდ ეს მოსწრაფება სირიისაკენ კასსელ-ბაბილონელ მეფეებს მალე შეეცვალათ. საქმე ის არის, რომ კასსეიელების გაძლიერებასთან ერთად დაიწყო გაძლიერება ახალი სამეფოებისა რომლებიც იმავე ხანებში, როგორც კასები, გამოვიდნენ პოლიტიკურ სარბიელზე. ენნი არიან მიტანები, ხეთელები, და შემდგომ ასურელები. მათი შიშით კასელი მეფეები იძულებული იყვნენ ეგვიპტელ ფარაონებს დამეგობრებოდნენ და მათთან კავშირში თავისი სამეფო უზრუნველყვით. ამ მოსაზრებით ისინი ხშირად უმოყვრდებოდნენ ფარაონებს, რომლებიც მათ ქალებს ცოლად ირთავდნენ: მაგალითად — ამენჰოტეპ მე-III-ს, 1412 წ. ქრ. წ. ჰყავდა მეფის კარაინდამ მე-II-ს ქალი, და შემდგომ კარაინდამ მე-II-ს ვაჟის — მეფის კადაშმან ხარბეს ქალი. ასეთივე მოსაზრებით მალე ერთმანეთს ასურეთისა და ხეთელების წინააღმდეგ შეუკავშირდნენ მიტანებიც და ბაბილონი.

კასსეიელების ბატონობას ბაბილონში ბოლო მოუღო მეფე ნაბუქოდონოსორ I-მა 1130 წ. ქრ. წ., რომელიც ერთ-ერთ



წარწერაში სიამაყით მოგვითხრობს, — კასელიელები გავაჩვენებ-  
რე, ელამიტელებიც გავრეკე და ამურუც დავიმორჩილო.

## II.

თუ კულტურა იბადებოდა და ვითარდებოდა ტიგროს-  
ევფრატის, ევლის და ლალისის აუზებში, კაპადოკიის და არა-  
ბეთის დიდ ველებში, საცა მცხოვრებნი უმთავრესად მწყემსო-  
ბას მისდევდა ამავე დროს სხვა მოვლენაც იჩენდა თავს. ეს  
მოვლენა იყო: ხალხთა მომრავლება, ხალხის სიმრავლე კი თავის  
შხრით იწვევდა გადასახლებას. ასეთმა გადმოსახლებამ მოიტანა  
სუმერიელების მიწა-წყალზე სემიელები არაბეთიდან.

კაპადოკიაში კი სახლობდნენ ტომები, რომელთა შემკრებ-  
ლობით ისტორიულ სახელად ცნობილია „ხეთელები“ კაპადო-  
კიის ველებზე ხალხთა მომრავლებამ გამოიწვია გადასახლება  
სამხრეთისაკენ ხალხისა, — რომელიც დაებატრონა შუა მდინარეს  
და მიტანნელების სახელით დააარსა ძლიერი სამეფო. მიტან-  
ნელები თითქოს ხეთელების გადასახლების წინა რაზმს შეადგენ-  
დნენ, რადგანაც მათ მოჰყვა გადმოსახლება საკუთრივ ხეთე-  
ლებისა. ეს მოხდა დაახლოებით XX—XIX საუკუნოებში.  
როცა ეგრედ-წოდებულმა გიკსოსებმა რამდენიმე საუკუნით  
ხელთ იგდეს ეგვიპტე და გაბატონდნენ ისე. რომ მე-XVIII  
საუკუნისათვის უკვე მცირე აზია, სირიითა, პალესტინით და  
ეგვიპტეთი ემორჩილებოდა იაფეტიათა მოდგმის ბატონობას,  
მაინც XIX—XVI საუკუნოებში ყველაზე ძლიერი სამეფო  
იყო სამეფო მიტანნელებისა.

**მიტანნი.** მიტანნელების კვალს მკვლევარები ხედავენ ჯერ  
კიდევ XXV-ს. ქრ. წინად. ქ. სამარობში შუა ტიგროსზე  
ნაპოვნია წარწერა მეფე არისენისა, რომელმაც ღმერთს ნერ-  
გალს აუშენა ტაძარი. ეს არისენი მიტანნელად არის მიჩნეული;  
მაშასადამე უკვე ამ ხანებში მიტანნელები შუა მდინარეში  
დამკვიდრებული ყოფილან.



მესამე საუკუნეშივე მოხსენებულ ქ. ასურის პატესებში ბილია კიკია და უშპია. ორივე სახელები მიტანურია და ტაძარიც სუმერული ღმერთის სახელზე იყო აშენებული. შემდგომ ქ. ასურის პატესებმა შემოიერთეს ღმერთი ისტარის ქალაქი არბელა და ნინეცია. XXI ს. ქრ. წინადა პატესმა სუმუბაუმ ბრძოლაჲ კი გამოუტახადა სემიელ ამორეებს, ბაბილონის მფლობელობისათვის, მაგრამ დამარცხდა. ამის შერშე იწყება გასემიელება ასურისა და ნინეციისა და მიტანურ სამთავროს მაგიერ, ის ნელ-ნელა იქცევა სემიელების ძლიერ სამეფოდ ასურეთად.

როცა ბაბილონის ტახტი დაიკავა კასების შედარებით სუსტმა დინასტიამ, მიტანელები თან-ათან ძლიერდებიან და მე-XV საუკუნისათვის უკვე უძლიერეს სამეფოს წარმოადგენენ წინა აზ. აზი. 1430 წელს მიტანელები, მეფე შაუშატარის სარდლობით, იპყრობენ ამ დროისათვის საკმაოდ გაძლიერებულ ასურს ნინეციითურთ და 50—70 წლით ბატონობის მძიმე უღელს ადებენ კისერზე; და თუმცა ძლიერი მიტანნი ყველას მალლიდან უყურებს, მეფეები შინც შეშინებულნი არიან მათი სამეფოს ჩრდილოეთით ხეთელების გაძლიერებით და ცდილობენ ეგვიპტეს და ბაბილონს დაუკავშირდნენ. 1420 წ. ეს მეგობრობა უფრო მტკიცდება და ისინი ერთმანეთს პოლიტიკური მოსაზრებით უმოყვრდებიან. ბაბილონს, როგორც ესთქვით, აშინებდა ასურეთის გაძლიერება, მიტანელებს-ხეთელების გაძლიერება, და ეგვიპტელებს კიდევ ამ დამეგობრება-დამოყვრებით სურდათ სირიის მამულების შენარჩუნება. ამ მოსაზრებით ფარაონ ტუტმოს IV-ს, 1420 წ. ქრ. წ. ჰყავდა მეფის არტატამის ქალი; ამენჰოტეპ III-ს 1412 წ. ქრ. წ. კასელი (ბაბილონის) მეფის კარაინდაშ მე-II-ს ქალი და მიტანელი მეფის სატარნას ქალი გილუხიბა. ამენჰოტეპ IV-ს კი 1380 წ. ქრ. წ. ჰყავდა მიტანის მეფის ტუშრატის ქალი თადუხიბა.

1380 წლებში იწყება დიდი ცვლილება იაფეტოანთა მოდგმის სამეფოებში და მიტანის სამეფოც ნელ-ნელა სუსტდება. ამასთანავე თავს იჩენს შინაური უწყესობაც, რითაც სარ-



გებლობენ ხეთელები და ამარცხებენ მეფე ტუშრატას. დამარცხებული ტუშრატას შვილებმა შეთქმულება შეჰქმნეს და თავისი მამა მოჰკლეს. მამის მერმე ტახტი დაიკავა სატარნა მე-II-მ, რომელიც ხეთელების მოწინააღმდეგე იყო და მათთან ომს აწარმოებდა. ტუშრატას მეორე ვაჟი და სატარნას ძმა მატიაზა კი ხეთელების მომხრეები იყვნენ. ამიტომ ხეთელების მეფემ სუბილულოუმამ მას თავისი ქალი შიათხოვა, სატარნა დაამარცხა, ტახტიდან ჩამოაგდო და მის მაგიერ დასვა თავისი მორჩილი სიძე მატიაზა. ამგვარად შიტანნიმ XIII—XIV-ს ქრ. წინად დაჰკარგა დამოუკიდებლობა დი ხეთელების ვასალად გახდა. ამგვარად აღარ რჩება ნასახი იმ სიძლიერისა, რომლის გამოც მათ მეგობრობას ეძებდნენ ეგვიპტელები და ბაბილონელი კასები.

**გიკსები** მე-XVIII-ს ქრ. წ., როგორც ფიქრობენ — 17000 (გიკსოხები). წელს, ეგვიპტე დაიპყრო უკანონო ხალხმა, სახელად გიკსებმა. მათ წინაუძღოდა მეფე სალიტისი, რომელმაც დაპყრობილ ეგვიპტეში გაამაგრა ქალ. ავარისი, ჩაასახლა შიგ 240 ათასი მეომარი, და სხვა ციხეებშიც ლაშქარი მრავლად მოეპოვებოდა, აქედან აშკარად სჩანს, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა ეს ტომი. ვის ეკუთვნოდა ეს ტომი და ან საიღგან მოვიდა—გამოურკვეველია და, მხოლოდ რამდენიმე შედარებით არა-მნიშვნელოვანი შესატყვისობის გამო, გამოთქმულია აზრი, რომ ეს ხალხი, ესე იგი - გიკსებიც, ხეთელების, ანუ საერთოდ იაფეტისათა ტომის შონათესავე ხალხია.

ეგვიპტე ეპყრათ მათ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, და თუმცა ეგვიპტელები მათ ბარბაროსებს და კულტურის შემმუსვრელებს უწოდებენ შემდეგი დროის წარწერებში, მაინც მათ დროს, როგორც ამას ამტკიცებს ხელოვნების მრავალი ნაშთი, კულტურა არა თუ არ დაკნულა, პირიქით განვითარდა კიდევაც. 100—150 წლის შემდგომ, წარწერების მიხედვით, ე. ი. 1590 წ. გიკსებს აუჯანყდნენ ეგვიპტელები და თავისი საშობლოდან გარეკეს კიდევ. ისტორიკოსი იოსებ ფლავიო-

სის სიტყვით კი მათ ეგვიპტეში უბატონიათ 511 წელი. ამ დროის შემდგომ-კი ეგვიპტელებმა ისინი მთელი თავისი მიწა-წყალიდან გარეკეს და გარემოიკვეს მათი ქალაქი ავარისი. მართალია ქალაქი ვერ აიღეს, მაგრამ გიკსებმა დაინახეს, რომ თავდაცვა გაუძნელდებოდათ და პირობა დასდეს, რომ ეგვიპტეს დასტოვებდნენ, და დასტოვეს კიდევ. წარწერების მიხედვით კი ეგვიპტელებმა ქ. ავარისი იერიშით აიღეს და ნ წლის განმავლობაში მათ საკუთარ მიწა-წყალზე ეომებოდნენ. სად წავიდნენ გიკსე?ი, ან სად იყო მათი მიწა-წყალი—გამორკვეული არ არის. მათ შეფეებში ყველაზე გამოჩენილი იყო შეფე ჰიანი, რომლის დროს, მრავალი კულტურული ნაშთები დარჩა. ესენი ეგვიპტეს ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ჰიანი ჰელოზბდა მთელ ეგვიპტეს და სირიას და თავის სახარისხო წარწერას დაუმატა „შეფე, ქვეყნიერების გარემოიკველი“, რითაც თითქოს ქვეყნიერების ბატონობას იჩემებდა.

გიკსების გარეკა-დამარცხების შემდგომ აზიაში იაფეტიანთა მოდგმის სამეფოთაგან დარჩა მე-XV საუკ. მიტანნი; მათ ჩრდილოეთით ხეთელების სამეფო და სამხრეთის კასსიელები, (ბაბილონიით) და ტიგროსის მარცხენა მხარეზე—ელამი. ამავე ხანებში ძლიერდება ასურეთი; მაშასადამე იაფეტიანთა მოდგმის ტომების მოქიშვედ და მეტოქედ გამოდის ახალი ძლიერი სემიელების სამეფო. ასურეთისა და ხეთელების ძლიერება თავის მხრით იწვევს, როგორც ზემოდ გვქონდა მოხსენებული, ბაბილონელ კასსების, მიტანელების და ეგვიპტელების კავშირს.

**ხეთელები.** ხეთელების დინასტია და სამეფოს სიძლიერე იწყება ქ. კუსარის მთავარ ხათუშილიდან (ხათუშილი) მე-XV ს. ქრ. წინად. ეს შეფე ჯერ კიდევ არ იწოდება „დიდ შეფედ“; მისი შვილი სუბილულიუმა კი უკვე ხეთელების ძლიერი და „დიდი შეფეა“. სუბილულიუმას გაძლიერებას ცხადია უნდა გამოეწვია მიტანელებთან ბრძოლა. ასეც მოხდა, როგორც მიტანნი მევის ტუშრატას წარწერები ამბობენ. სუბილულიუმა დამარცხდა, მაგრამ იმის შეფობის დროს ხეთელე-



ქართული

ბის სამეფო თანდათან ძლიერდება; მიტანი კი უფრო და უფრო სუსტდება. სუბილულოუმბა მალე ისევ შეებრძოლა მიტანებს, დაამარცხა ისინი და დაარბია მთელი მათი სამეფო, რის შემდგომ მათ შორის ზავი ჩამოვარდა. შედეგად ამის მოჰყვა მიტანელების ხეთელებისათვის დამორჩილება და უკანასკნელთა უზენაეს ბატონებად აღიარება.

მიტანელების დამარცხების შემდგომ ხეთელების ყურადღებას იპყრობს სირია. ეს მისწრაფება უკიდურესად ვითარდება 1450 წლებში ქრ. წინად და 1420 წელს მათ სირიის სემიელ მეფე მთავრებში უკვე მეშველები ჰყავთ, რადგანაც ეს მეფე-მთავრები ხეთელების მფარველობის აღიარებით და მათი დახმარებით ეგვიპტელებისაგან განთავისუფლებას მოელონ. ასეთი დახმარება ცხადია ძალას ჰმატებს ისედაც ძლიერ ხეთელებს და ფარაონი ამენჰოტეპ IV დროს ისინი მოურიდებლად ესევიათ ეგვიპტელების საზღვრებს. ომის საბაბად გამოიყენეს ის, რომ ფარაონმა წერილში, რომელიც ხეთელების მეფეს სუბილულოუმას მისწერა, ჯერ თავისი თავი მოიხსენია და მერე ხეთელების მეფე. ეს ეტიკეტის დარღვევად და ხეთელების მეფის უფლების შემცირებად ჩასთვალეს ხეთელებმა და ეგვიპტელებთან მოლაპარაკება და ურთიერთობა შესწყვიტეს. ნამდვილი მიზეზი ომისა იყო ხეთელების სამხრეთისაკენ მისწრაფება, საცა მათ გზას უკრავდნენ ჯერ მიტანელები და მერმე თვით ეგვიპტე, თავისი მორჩილი სამეფოებით სირიაში. სუბილულოუმას ამ შემთხვევაშიაც ბედმა გაუღიმა და მან დაიმორჩილა სირიის ამურუ, რომლის მეფემაც ხეთელების ბატონობა აღიარა. ხეთელებმა ჩამოაშორეს ბევრი მიწა-წყალი ბაბილონელებსაც, ისე რომ მე-XIV ს. ქრ. წ. მკირე აზიაში წარმოიშვა სხვადასხვა ტომებისაგან შემდგარი ახალი და ძლიერი იაფეტრიანთა სამეფო. უზენაესი მმართველობა ეკუთვნოდა ხეთელების ძლიერ მეფეს, რომლის საჯდომი ანუ სატახტო ქალაქი ხატტი (ხატი თუ ხეთი) იყო კაპადოკიაში მდინარე ლალისის მახლობლად (ახლანდელი ბოგაზქიოი).

მეთოთხმეტე საუკ. დასასრულს ხეთელების შეუჩინებელი



წინსვლით და სირიის დამორჩილებით შეწყობულ ფარაონები  
 ომს უცხადებენ ხეთელებს. ფარაონი სეტი I და მეფე მურსი-  
 ლის შუა რამდენიმეჯერ მოხდა ომი, მაგრამ ამ ომებს არც  
 ერთი მხარისათვის უპირატესობა არ მიუნიჭებია, და სეტი I  
 დაეზავა მურსილის მემკვიდრეს მეფეს მუთალუს.

ფარაონი სეტი I-ის შემდგომ ტახტი დაიჭირა რამსეს მე-II  
 მერიამონმა, რომლის გამეფებისთანავე ომი ეგვიპტესა და ხე-  
 თელებს შორის ისევ განახლდა. მთელი ოცი წელიწადი  
 გრძელდებოდა ეს ომი. უძლიერესი ბრძოლა მოხდა რამსეს  
 მეორეს და მუთალუს შორის დაახლოებით 1291—1295 წლებ-  
 ში. ორივე მხრიდან დიდძალი ლაშქარი იღებდა მონაწილეო-  
 ბას. ხეთელებს დაჭირავებული ჰყავდათ მეომრები სირიიდან  
 და მთელი მცირე აზიიდან. ეგვიპტეს მორჩილი სირიის მთავ-  
 რებიც ჩუმად ხეთელებს უჭერდნენ მხარს. მდინარე ორონტზე  
 გაიმართა ბრძოლა, რომლის დროსაც ეგვიპტელები საშინლად  
 დამარცხდნენ და თითქმის ერთიანად მოისრნენ. გაქცეულები-  
 კი გადააჩინა იმან, რომ ხეთელების ცხენოსანი მეომრები ეგვიპ-  
 ტელების ბანაკის ცარცვას შეუღდნენ და გაქცეულებს აღარ დაე-  
 დევნენ. ამის შემდგომ კიდევ სწარმოებდა რამსეს მე-II-ის და ხეთე-  
 ლების შორის ომი 16 წლის განმავლობაში, და თუმცა ბრძოლას  
 ხან ერთი მხარე იგებდა და ხან მეორე, მაინც საბოლოოდ უპირა-  
 ტესობა ხეთელების მხარეზე იყო. 1270 წლებში ფარაონმა რამსეს  
 მე-II-ემ მოახერხა მუთალუს მემკვიდრე ხათუშილ მე-II-თან დაზავ-  
 ვება. ზავის პირობები აღმოჩნდა როგორც ეგვიპტურ წარწერებში,  
 ისე ხეთელმეფეთა არქივშიც. ზავის პირობის მიხედვით ეგვიპტე-  
 ლებს დარჩენილ სამხრეთი სირია; ჩრდილოეთი სირიის პატრო-  
 ნებად კი ხეთელები უცვნიათ.

ზედმეტი სიმტკიცისათვის რამსეს მე-II შეიერთა ხათუშილი  
 მე-II-ის ქალი, რომელიც ეგვიპტურ წარწერებში ყველგან მოხსენ-  
 ებულია, ფარაონთან ერთად, სწორ-უფლებიან დედოფალად,  
 მატ-ნოფრუ-რას სახელით.

ზავი მართლაც მტკიცე გამოდგა და მეგობრობა ორ სა-  
 მულოთა შორის დიდხანს არ შეწყვეტილა, ისე რომ, როცა



ხეთელების სამეფო სიმშლის განიცილიდა, რამესე მე-III-ის მე-11-ე წელს მკვიდრემ, ფარაონმა მენეპტამ, მათ ეგვიპტედან გემებით ხორბალი გამოუგზავნა, რაც დაახლოებით უნდა მომხდარიყო 1225—1215 წლებს შუა.

ხეთელების პოლიტიკურ სიძლიერესთან ერთად იზრდებოდა კულტურაც, და თუმცა ჯერ კიდევ წაუკითხავია მრავალი რიცხოვანი წარწერები ხეთელების, მიტანელების და ტომი არცავეს (არწავესი, რომელსაც ბევრი მეცნიერები ხეთელებს უკავშირებენ და უნათესავეებენ), მაინც გადაქრით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნებს ბევრი ღმერთების კულტის მრავალი მხარეები მათგან ჰქონდათ ნასესხები. წარწერები, როგორც ხატოვანი ისე ლურსმული, მრავლად მოიპოვება მთელს მცირე აზიასი და ჩრდილოეთ სირიაში. ლურსმული წარწერები იდიოგრამეგით თითქოს გარჩეულად ითვლება, მაგრამ საბოლოოდ გაგებულად, გარჩეულად ჩათვლა ჯერ ნაადრევეია. წარწერების მრავალი რიცხვი აღმოჩნდა ხეთელების სამეფო არქივში, სატახტო ქალაქის ნანგრევებში დაფლული. აქ აუარებელი ფირფიტებია სხვადასხვა წაუკითხავი წარწერებით. თუ რამდენად ძლიერი და ცნობილი იყვნენ ხეთელები, სჩანს თუნდაც იქიდან, რომ ეგვიპტელები კაცობრიობას ოთხ მოდგმად ჰყოფდნენ და ამ ოთხ მოდგმაში ერთად ხეთელებიც ითვლებოდნენ. (1—ეგვიპტელები; 2—ზანგები; 3—ლიბიელები, ანუ სამაღლები, და 4—ხეთელები).

მე-XII-ის დასაწყისში მცირე აზიასა და ეგვიპტეში ჩნდება ახალი ხალხი. იწყება ინდო-ევროპიელების შემოსახლება. ამ გადმოსახლების ორი ტომი, პულასატი და ჯაკკარა, ამარცხებს ხეთელებსაც. ხეთელების სამეფოს შესუსტებით ისარგებლა ეგვიპტეს ფარაონმა რამსეს მე-III, და ჩრდილოეთი სირია დაიმორჩილა.

ამ დამარცხებით იწყება ხეთელთა სამეფოს დანგრევა-დანაწილება. სირიისა და მცირე აზიის საზღვრებზე ჩნდებიან ხეთელებისა და არაელების ნარევი სამეფოები, რომელშიაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამალი. დროებით ინარჩუნებენ ხეთელები ქალ. კერხემიშსაც, მაგრამ მე-XII საუკუნის ბოლო-



ში უკვე წმინდა ხეთური სამეფოები ჰქრებიან. ხეთელთა უძველესი ნასკნელი მეფე დაამარცხა ტიგლათ პილესარ I-მა 1180 წ. ქრ. წ.

### III

ხეთელების მთლიანი სამეფოს დაშლის და დანაწილების შემდგომ ისტორიულ სარბიელზე გამოდიან ზოგიერთი ქართული ტომები, რომლებიც აქამდის ხეთელების სამეფო სახელით იყვნენ ცნობილნი. ესენი არიან—მუსკები, ანუ მესხები, კოლხები, ანუ კასკები, თაბალები (იბერიელები) და იგივე ქალები, რომლებიც სუმერული დროის ბაბილონის მფლობელებად უნდა ჩაითვალოს, და რომლებიც XIV—XIII საუკუნოებში ბაბილონს და ასურეთს საქმეს უჭირებდნენ დასაფლეთიდან და სამხრეთიდან. როგორც ასურეთის, ისე ბაბილონის ისტორია ამ ხანაში ქალებთან ომებით არის სავსე. ქალები ამ მიზნით ხშირად ელამიტელებს უკავშირდებოდნენ და მტკიცე რკალად ერტყმებოდნენ სემიანთა სამეფოებს.

**მესხები-** ხეთელების სამეფოს განადგურებისა, თუ დანაწილების შემდგომ, კაპადოკიის ქართველ ტომებში ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო ტომები მესხებისა და ტაბალებისა. ორივე ტომს მიწა-წყალი წვრილ სამეფოებად თუ სამთავროებად არის დაყოფილი, რომლებიც ომის საწარმოებლად, თუ სხვა საჭიროებისათვის ერთმანეთთან კავშირს ჰკრავენ ხოლმე. კუმუხების ქვეყანა მე-XII საუკუნის დასაწყისში უკვე დაპყრობილი აქვთ ასურელებს, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიიწვევენ. ამ მისწრაფებაში მათ ხელს უშლის ქართველ ტომების სამხედრო კავშირი. 1150 წლებში ქრ. წინადა მესხების კავშირმა წაართვა ასურელებს ორი სამთავრო აღძი და პურუკუცი, და მათი სიძლიერით დაშინებული ასურელები წართმეულის დაბრუნებას აღარ ჰფიქრობდნენ. 1100 წ. ქრ. წ. მესხების ხუთმა მეფემ 20000 მეომრით გაილაშქრეს კუმუხის დასაპყრობად; მაგრამ ასურეთის მეფემ ტიგლათ პილესარ I-მა სასტიკად დაამარცხა ისინი, მრავალი მეომარი დახოცა, გადარჩენილნი კი ასურეთში ჩაასახლა; ასურეთშივე



გადაასახლა მესხების მოკავშირე კოლხების ლაშქარი, 4000 მეომარი, რომლებიც მას უომრად დამორჩილდნენ. ეს მესხების ტომის პირველი დამარცხება იყო. შესაძლებელია დამარცხების მიზეზი ისიც იყოს, რომ წინანდელ გამარჯვებით გათამამებულ მესხებს ფართო საშუალება კავშირას მოწყობია. თავი აღარ შეუწყუხებიათ. ამით ისარგებლა ტიგლათ პილესარ I-მა და საშინელი დამარცხებით მესხები მეტად დაასუსტა და დააქვეითა.

**ტაბალები.** მესხების შესუსტებისა და დამარცხების შემდგომ ტიგლათ პილესარ I დაამარცხა ბაბილონის მეფემ და ასურეთის სიძლიერეც თითქმის სამი საუკუნით შეასუსტა; მაგრამ მე-IX საუკუნის ბოლოში ასურეთი ისევ ძლიერდება და მესხების მიწა-წყლის დაპყრობის შემდგომ ჯერი ტაბალებზე მიდგება. 864 წელს მეფე სალმანასარი შეესია ტაბალების სამთავროებს, რომლებიც ჯერ არაეის დაემარცხებია, და რომელთაც სიძლიერით თუ კულტურით განთქმულა აქონდათ სახელი მთელ მაშინდელ კაცობრიობაში, და დაიპყრო ისინი. ტაბალთა მიწა-წყალი ამ დროს რკდახუთ სამეფოდ იყო დაყოფილი, და გარდა მალალი კულტურისა—დიდი სიმდიდრის პატრონიც ყოფილა,—სხვათა შორის ძვირფასი ქვების მალაროები ჰქონიათ, რომელიც ასურელებმა ხელთ იგდეს. როგორც მესხები, ისე ტაბალები და ქალები საუკეთესო ხუროები ყოფილან და ლითონის დამუშავებაც საუკეთესოდ სცოდნიათ. ტაბალები დიდხანს არ ყოფილან ასურელების მორჩილი და 722 წ. ქრ. წინად სარგონ მეფეს ხელ-ახლა მათი დამორჩილება მოუწია. ზედმეტი სიმტკიცისთვის სარგონ მეფემ ტაბალებს ერთ-ერთ მეფეს მიათხოვა თავისი ქალი და მზითვალს კილოკის გატანებით სამეფო გაუდიდა. მაგრამ არც ამან გასჭრა, და ტაბალები ასურელების საწინააღმდეგოდ სამზადისს შეუდგნენ. გაიგო თუ არა ეს სარგონ მეფემ, უეცრად შემოიჭრა ტაბალების მიწა-წყალზე, თავისი სიძის მეფე ამბარისის სატახტო ქალაქი ტულგარიში მიწასთან გაასწორა და თვით ამბარისი დიდებულებითა და 5000 მეომრით ასურეთში გადაასახლა; მათ აღვილას-კი

ასურელები დაასახლა. არც ოპის შემდგომ დაუკარგავთ თავისუფლების იმედი ტაბალებს. ციხე-ქალაქი ტულგარიშიც ისევ მოუშენებიათ და ასურელებს ისევ აუჯანყდნენ, მაგრამ სანპერიბე მეფემ ისინი ისევ ასურეთს დაუმორჩილა, დაახლოებით მე—700 წლებში, ქრ. წ. ამგვარად ნელ-ნელა დაკარგი თავისუფლება და შესუსტდა ხეთელების დიდი სამეფოდან გამოყოფილი ქართველთა ტომების ორი ძლიერი სამეფო. სამაგიეროდ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ქაღდების ურარტუს სამეფოები და იაფუტიანთა მოღმის პოლიტიკური ჰეგემონიაც მათ ხელში იყო.

ქათველ ტომების არსებობას კაპადოკიაში საბოლოოდ ბოლო მოუღო ინდო-ევროპელების — კიმერიელების შემოსევამ. ახალ-მოსულთა ტაღლამ სრულიად მოსპო აქ მცხოვრებნი, — ზოგი ჩრდილოეთისაკენ და დასავლეთისაკენ გარეკა. ზოგს კი თვით შეუღულდა და ამით დასაწყისი დაუდო ახლანდელი სომხების არსებობას. ამ შემოსევის საშინელ შედეგებზე იეზუკიელი სწერს: „მოსოხი და თუბული, რომელნიც მთელ ქვეყნიერობას შიშის ზარსა ჰგვრიდნენ, მახელით დახოცილნი მთელის თავის სიმრავლით მიწაში არიან ჩაფლულნი. ხოლო ენც სიკვდილს გადარჩა, ის გოგვის მონობას უნდა დამორჩილებოდაო.“

ი. ანთაძე.

(შემდეგი იქნება).







## რა მოჰყვა მსოფლიო ომს?



მი ვათავდა. ზოგი ქვეყანა განადგურებული, დამცირებული და დამარცხებული გამოვიდა ამ ომიდან; ზოგი კი გამარჯვებას დღესასწაულობდა. ყველას ეგონა, რომ ისე, როგორც ძველი ომების შემდეგ ყოფილა, გამარჯვებულნი სიმდიდრეს შეიძენდნენ დამარცხებულთა ანგარიშზე; ეგონათ, რომ გამარჯვებულთა ბედნიერება დამარცხებულთა უბედურებაზე აშენდებოდა. მაგრამ, ომი რომ დასრულდა, პირველ დღეებშივე ცხადი შეიქნა, რომ ეს ასე არ არის, რომ ამ ომში არც გამარჯვებულნი, არც დამარცხებულნი არიან, არიან მხოლოდ დამარცხებულნი.

ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ ხელში ჩაიგდეს გერმანიის და ავსტრიის ფლოტი, ძალით ახდევინებენ დამარცხებულთ მრავალ მილიონ კონტრიბუციას, \*) დაიწყეს ერთმანეთში გერმანიის კოლონიები, თვითონ კი არა თუ არ გამდიდრდნენ, არამედ კიდევაც გაღარიბდნენ.

ინგლისის გემების რიცხვი შემცირდა. ის აუარებელი ქვანახშირი, რომელსაც ინგლისი ომამდის მთელ მსოფლიოს აწვდიდა, ახლა საკუთარი საჭიროებისათვის ძლივს ჰყოფნის; ინგლისს ამ ეამად ნაკლებად აქვს სხვადასხვა საქონელი. ეს თავის დღეში არ ყოფილა. სიძვირე იქ სულ უფრო და უფრო მატულობს, ფულის ფასი ეცემა.

ბევრად უარეს მდგომარეობაშია საფრანგეთი: იქ ფულს თავისი წინანდელი ფასის მხოლოდ მესამედი აქვს; ცხოვრე-

\*) ჯარიმა.



საქართველოს  
კომუნისტური პარტია

ბისათვის საქირო საგნების ფასი ერთ იორად, სამად გაიზარდა საქონელი არ ჰყოფნით. ჰორი იმაზე ნაკლები აქვთ, რაც ომის დროს ჰქონდათ. ქარხნებში მუშაობა ბევრგან გაჩერებულია, მრეწველობა განადგურებულია, ქვეყანა—დაუძლეურებული.

იტალიის ეკონომიური მდგომარეობა საფრანგეთზე უარესია. დამარცხებულ ქვეყნებზე ლაპარაკიც მეტია. გერმანია საშინლად დამწყველია. გერმანიასა და ავსტრიაში ძალიან გახშირდა სიკვდილი შიმშილის ნიადაგზე.

გერმანია იძულებული გახადეს გამარჯვებულებმა ხელი მოეწერა ვერსალში\*) სამშვიდობო ხელშეკრულებასზე. ამ ხელშეკრულების ძალით გერმანია ვალდებულია გადაუხადოს გამარჯვებულთ ორასი მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია, უნდა ჩააბაროს მოკავშირე მტერს მრავალი მანქანა, ლოკომოტივი\*\*), ვაგონი, ძროხა და ცხენი. ვარდა ამისა გერმანიას მოაცილეს და საფრანგეთს გადასცეს ორი პროვინცია—ელზასი და ლორენი, თხუთმეტი წლის ვადით გადასცეს საფრანგეთს მდინარე სარის აუზში აურაცხელი ქვანახშირის მადნები.

უკვე მოვიხსენიეთ, რომ ამ ხელშეკრულების ძალით გერმანიას წაართვეს ყველა მისი კალონია და მთელი ფლოტი.

მაგრამ მალე ერთი რამ ცხადი გახდა ყველასათვის: ყველაფერი, რაც გამარჯვებულებმა მოიგეს დამარცხებული გერმანიის ანგარიშზე—ბევრად ნაკლებია იმ მოგებაზე, რომელიც იყო ომამდის, როცა დღეს გამარჯვებული სახელმწიფოები გერმანიას მისგან დაშხადებულ საქონელში თავისას უტყვიდნენ, როცა თავისუფალი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა იყო გაჩაღებული. ამ აღებ-მიცემობის საღსარი კი დღეს მოუხსნეს მოკავშირეებმა დამარცხებულ გერმანიას, სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით გაანადგურეს გერმანიის სასოფლო-სამეურნეო და საქარხნო მრეწველობა, ბოლო მოუღეს გერმანიის იმ ძალას, რომელიც აღებ-მიცემობისთვის საქირო საქონელს ამზადებდა.

\*) ქალაქი პარიზის ახლოს.

\*\*) ორთქლმავალი.



რუსეთში, როგორც ყველამ ვიცით, ბოლშევიზმშია გამარჯვებული. მოკავშირეებმა—ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ—განიზრახეს რუსეთში ბოლშევიზმის ძალით აღმოუზბერა; დახარჯეს აუარებელი ფული, დიდი ენერჯია, და მაინც ვერაფერს გაბდნენ; მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ რუსეთის ხალხში განხეთქილება მოხდა, გაჩაღდა სამოქალაქო ომი, ძმა ძმას ებრძვის, სიცოცხლეს უსპობს. საბოლოოდ დაუძლურებული რუსეთი დღეს ვერაფერს მისცემს, ვერაფერს გაუზიარებს ევროპას. ომამდის კი რუსეთიდან იქ გაჰქონდათ აუარებელი პური, ხე-ტყე, მანქანობა, ერბო, კვერცხი, ტყავი და სხ.

სოცია ყველა ეს გამარჯვებული მოკავშირეებიც კინკლაობენ და ჩხუბობენ ერთმანეთში. ეჩხუბებიან იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, ებრძვიან და ძირს უთხრიან იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ომის შემდეგ შეიქმნენ.

ადრიატიკის ზღვის პირად ერთ ნავთსადგურის, ფიუმეს, გამო კინალამ ომი არ გაჩაღდა სამხრეთ სლავიასა და იტალიის შორის, გამწვავდა იტალიისა და ინგლისის დამოკიდებულება. დამარცხებული ოსმალეთის სხვადასხვა ადგილების განაწილების დროს გამწვავდა საქმე აგრეთვე ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ინგლისი და ამერიკა ისე გადაეკიდნენ ერთმანეთს, რომ ამას წინად ინგლისის მთავრობის თავმჯდომარემ, ლლოიდ ჯორჯმა, განაცხადა: „ჩვენ არ მივცემთ ამერიკას უფლებას ევროპაზე იბატონოს“. ბევრი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ამერიკაში ცხადად ლაპარაკობს—უნდა ვიფიქროთ ინგლისთან მოსალოდნელ ომზეო.

ევროპა მოუწყობელია ქონებრივ—ეკონომიურად და სახელმწიფოებრივად. ამას ემატება დაჩაგრულ ხალხთა მოძრაობა და მრისხანე მოძრაობა კოლონიებისა.

ჩაგრული ერები ყველგან მოითხოვენ თავისუფალი ცხოვრების უფლებას, იმის უფლებას, რომ თავისი ცხოვრება თვითონ მოაწყონ, მათი სვე-ბედი მათ ხელში იყოს. რუსეთსა და ავსტრიაში თითქმის ყველა დაჩაგრული ერები განთავისუფლ-

დნენ და შექმნეს თავისი სახელმწიფოები. ინგლისის ნაწილი, დაჩაგრული ირლანდია, მედგრად იბრძვის დამოუკიდებლობისთვის.

გერმანიაში დაჩაგრული პოლონელები იბრძვიან თავის მოძმე პოლონეთის სახელმწიფოსთან შეერთებისათვის.

ოკეანეს გაღმა სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკები უდიდეს მზნეობას იჩენენ, რათა შეერთებულ შტატების მონობისგან განთავისუფლდნენ. თვით შტატებში ბრძოლაა ზანგებისა და ინდიელების მათ მჩაგვრელ ამერიკელთა წინააღმდეგ.

კიდევ უფრო ძლიერი, უფრო მრისხანე მოძრაობაა კოლონიებში.

ინდოელებს, არაბებს, ზანგებს, ჩინელებს, მალაელებს ან დამოუკიდებლობის ლანდი ჰქონდათ, როგორც მაგალითად სპარსეთსა, ოსმალეთსა და ჩინეთში, ნამდვილად კი ამა თუ იმ სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ, ან სრულებით ჰკარგავდნენ დამოუკიდებლობას. ყველა ესენი არა თავის სასარგებლოდ, არამედ თავის ძლიერ ბატონებისთვის მუშაობდნენ.

ახლა, ომის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ იბრძვის ინდოეთი და ეგვიპტე, საფრანგეთის წინააღმდეგ — ალჟირი, ტუნისი, მოროკო, პოლონდიის წინააღმდეგ — შვეიცარიისა და კუნძულებზე მოსახლე მალაელები; ჰელენავს ჩინეთი, — ცდილობს თავიდან მოიშოროს უცხოელების, ყველაზე უწინ კი — იაპონიისა და ამერიკის უღელი.

ასე რომ ომის შემდეგ არა თუ არ დალაგდა, არამედ შიმშილისა და ქვეყნის აოხრებისაგან გამოწვეული უწყესობა და მღელვარება სულ უფრო და უფრო მატულობს.

ამ ეპოქა მთელ კაცობრიობაში დაიბადა წყურვილი ხელახლად, ახალ საფუძველზე ცხოვრების მოწყობისა. ეს წადილი უმთავრესად მუშა ხალხში გაჩნდა; სხვადასხვა ქვეყნებში ხალხი სხვადასხვა გზას დაადგა თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ხალხის მოძრაობის ორი უმთავრესი მიზანი ყველგან შემდეგია: მრეწველობის განსაზოგადოებრივობა (სოცია-




ლიზში) და ხალხთა შორის ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ომს მოსპობს მომავალში.

ინგლისის მუშები მოითხოვენ ქვა-ნახშირის მალაროების და რკინის გზების დაუყოვნებლივ ნაციონალიზაციას (ხალხის სასარგებლოდ გადაცემას); მოითხოვენ მრეწველობაზე სახელმწიფო კონტროლს. საფრანგეთის მუშებიც ამასვე თხოულობენ. იტალიაში მუშები თხოულობენ, რომ დაუყოვნებლივ შედგეს მუშათა კავშირების წარმომადგენლებისაგან ეკონომიური საბჭო, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ამ ქვეყნის მთელი მეურნეობა. ამავე გზას დაადგა მუშა ხალხი გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აგრედვე დაიბადა ყველგან აზრი ხალხთა შორის ახალი დამოკიდებულების, სულ სხვა განწყობილობის შექმნისა. შეიქმნა ახალი სახელმწიფოები. თითქმის ყველა ძველი სახელმწიფოების საზღვრები შეიცვალა. ამ ნიადაგზე ძალიან შესაძლებელია ისევ გაჩაღდეს ახალი ომი. ხალხთა შორის სწარმოებს ეკონომიური ბრძოლა-მეტოქეობა. თვითეული ქვეყანა სხვის ანგარიშზე გამდიდრებას სცდილობს. საჭიროა რაღაც ახალი მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც ხალხთა შორის ცილობა-მეტოქეობას მოსპობს და თანასწორად გაანაწილებს ადამიანთა შორის მათი შრომის ნაყოფს, მათ ნაშუშავარს, ყველა გრძნობს, რომ ასეთი ორგანიზაცია საჭიროა, რომ ბრძოლა-ქიშპობა თანამშრომლობამ და საურთიერთო დახმარებამ უნდა შესცვალოს. ხოლო როგორ უნდა შედგეს ეს ახალი ორგანიზაცია,—ამ საგანზე ახლა მსჯელობა და კამათია, როგორც მთავრობებისა, ისე მუშათა წრეებში, ევროპასა და ამერიკაში.

კამათობენ საზოგადოდ იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა შეიქმნას ცხოვრების ახალი წყობილება, რომლის საჭიროებას ამ ეპოქად ღრმად გრძნობენ მთელი მსოფლიოს ყველა ხალხნი. ამ საგანზე შემდეგ წერილში მოგელაპარაკებით.

ლ. კრემერი.





# მამა და შვილი.

(ი გ ა ვ ი).



ატარა შვილმა ჰკითხა მამას: —  
— მამავ, ეს რად არის, რომ ჩვენ შეზობლებს  
შშვენიერი სახლები წამოუჭიმავთ, სმა-ქამა  
კარგი აქვთ და ჩაცმა-დახურვა, ჩვენ კი ყვე-

ლაფერი გვენატრებაო.

— შვილო, — მიუგო მამამ, — აღბად იმათ მამებს მათთვის  
საკმაო სიმდიდრე და დოვლათი დაუტოვებით, შენ პაპს კი  
ჩემთვის არაფერიო.

— სჩანს პაპა ჩემი კარგად ვერ მოქცეულა, — განაგრძო  
შვილმა, — შენ იმის შეცდომას, რასაკვირველია, არ გაიმეორებ,  
და ბოლოს ჩემი ბედი შენსაზე ბევრად უკეთესი გამოვაო.

ალ. მირიანაშვილი.





## შინაური სვავი.



ულ ერთთავად სახლში იყო,  
 სულ ეზოში ტრიალებდა;  
 დადიოდა არღი-გარდმო, —  
 თვალებს დააბრიალებდა.

ის ვერაფერს ვერ ხედავდა,  
 საქმეს ისე განაგებდა:  
 არაფერი არ ესმოდა —  
 რას შლიდა და რას აგებდა.

გამგეებად ჰყავდა გარედ  
 დღისით ქორი, ღამით — ქოტი,  
 მიმინო და ყვავ-ყორანი,  
 ღამურა და მიკიოტი.

ააოხრეს, აამტუტეს  
 შინ თუ გარედ ყველაფერი;  
 აღარაფერს აღარ ჰქონდა  
 თავის სახე, თავის ფერი.

და ასეთი საქციელი  
 ფრინველთ აღარ მოეწონათ:  
 ყველა მტაცებლების კვება  
 უჯდებოდათ ოქროს წონათ.

გადასწყვიტეს — კმარა, მორჩა  
 ჩვენის ოფლით მათი რჩენა;  
 ორში ერთი უნდა მოხდეს,  
 ან ისინი, და ან ჩვენა.


როგორც იყო შევარდნებმა  
 სეავი გარედ გაიტყუეს,  
 დაბეგვეს და დაამეავეს,  
 სწორედ მაგრა დააყუვეს.

დააგლიჯეს ფრთა, ნისკარტი,  
 გაყვლიფეს და გადისროლეს,  
 ავზუცელა დამქაშებიც  
 მას ზედიზედ მიაყოლეს.

თუ კი დარჩა ვინმე წამლად,  
 აადინეს მასაც ბღღვირი,  
 და ამრიგად მოიშორეს  
 ფრინველებმა ვასაკირი.

დღევანდელი სეავ-ყორნებიც  
 თუ ქერქში არ დადგებიან,  
 მოიმკიან წარსულთა დღეს  
 და მათ გზაზე დადგებიან.

შიო მღვიმელი.





## კუდა-კუდა არაკები.



### ცა და დედამიწა.

წუხარების შავი ღრუბლებით ჩამოიძაძა ცის კაპარა.

ყრუ ქუხილი გულ ჩათბრობილ გმინვად აღმოჰხდა სამყაროს. შავად ჩამქრალ ცის თვალთა ქუთუთოებზე დაკიდებულ სრემლთა წვეთები ის-ის

იყო ღაპა-ღუპით დადენას ლამობდნენ.

ძირს-კი ლალი ნიავი უდარდელად სისინებდა, აღერსით ელაზღანდა ებოდა კეკლუცად მოკაზმულ მიდამოს, თითქოს მხიარული დედა-მიწა ტკბილად ქშინავსო. შრიალეზდნენ ფოთლები, რაკრაკებდა ნაკადული. ცის ოხერას ვერაგული ხარხარით გამოსძახეს კლდის ნაპრალეებმა, თითქოს ცბიერი დედმიწა ხითხითებდა, ბორბოტად დასცინოდა ზეცის ვაებას, მის გულის ტკივილს...

ზეცამ შენიშნა მიწას ორგულობა. მრისხანედ იელვა,

ცეცხლის ტეხილი შუბით გაჰკვეთა მძიმე ნალელით და  
 თული კამარა, თითქოს პირი გააღო, გაბრაზებულმა დაიჰქეჭა  
 და ღრიალით ჩამოსძახა დედა-მიწას:

— უფუნურო! რა გახარებს?—მართალია, ჯერ შენ მხო-  
 ლოდ შორეული მოწმე ხარ ჩემის გულის კენესისა, ჩემი მწუ-  
 ხარების კრემლთა დენისა, მაგრამ ათასჯერ მეტადაც რომ  
 დამშორდე, მაინც არც ერთი წვეთი ჩემგან დადენილი კრემ-  
 ლისა, არც ერთი მეხი ჩემ მიერ ჩამონატყორცნი შენს ზურგს  
 არ ასცდებო!..

ილ. გოგია.





## სიმართლის წიგნი



(ზღაპარი).

ამდენიმე საუკუნის წინად ცხოვრობდა თავისი ძლევა-მოსილობით სახელგანთქმული მეფე. მისი სახელმწიფო საუცხოვო აღგილას მდებარეობდა, ბუნებრივი სიმდიდრით იყო აღსავსე, მაგრამ მეფეს ეს არ აკმაყოფილებდა, და სულ იმის ცდაში იყო, რომ საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებისა გადაეღობა და თავისი საბრძანებელი გაეფართოებინა. ამიტომ ამ მეფეს დაუსრულებელი ომი ჰქონდა ხან ერთსა და ხან მეორე შხარეს. მის ქვეშევრდომთა ოჯახებში მუდმივი ტირილი და ვიში გაისმოდა. როდესაც კი მეფე ომიდან ბრუნდებოდა დიდძალი ნადავლით და გამარჯვებით გათამამებული, მის ხალხს სიხარულის დღე უთენდებოდა. მაშინ მეფე გულუბვად არიგებდა ჯილდოს და მოწყალებას, მაგრამ ვერაფერი ვერ შეაშრობდა ცრემლს ქერივობრად დარჩენილ ოჯახებისას. და ასეთი ოჯახები ასობით ითვლებოდა. მეფის სიამაყეს მისი მზღებლები და სასახლე შეადგენდა. ურიცხვი ოქრო-ვერცხლი იყო დახარჯული მეფის საბრძანებლის გამშენიერებაზე. მრავალი ყურმოჭრილი ყმა ახლდა მეფეს, ყველა მას ფებქვეშ ეგებოდა, მხოლოდ სიყვარულით კი არავის უყვარდა.

მრავალი უცხო ქვეყნის მეცნიერი და მოგზაური გაუკვირვებია მეფის სასახლის მოწყობილობას. თვით მეფის და მის მზღებელთა ძვირფას სამკაულთა აღწერა სწორედ არაქსა-

ვით გაერცელებული იყო და მეფის გული კმაყოფილებით იყო აღსავსე.

მაგრამ ერთი რამ კიდევ იყო მეფის სასახლეში, რითაც მეფე ძლიერ ამაყობდა. ეს იყო უზარმაზარი წიგნი, მშვენიერ ძვირფას ყდიანი. მხოლოდ წიგნის ფურცლები სრულიად ცარიელი და სუფთა იყო. არავის ხელს არ აღებუქდა მათზე არც ერთი აზრი...

ეს წიგნი ცალკე ოთახში, მაგიდაზე ფარჩა-გადაფარებული ესვენა, და როგორც ერთი რამ დიდი განძი, ისე ინახებოდა სასახლეში.

ერთხელ მეფეს ესტუმრა სრულიად გაქალაქებული, ხნიერი, პატარა ტანის კაცი.

მეფე ჩვეულებისამებრ საუცხოვოდ დაუხვდა და რასაკვირველია მთელი თავისი სასახლე დაატარა. სტუმარი ძლიერ კმაყოფილი იყო სხვადასხვა სანახავეებით; მაგრამ უზარმაზარმა დაუწერავემა წიგნმა კი ნამეტანი გააოცა იგი.

— ყველაფერი ჩინებული და სათანადოა შენს საბრძანებელში, — მიუბრუნდა სტუმარი მეფეს, — მხოლოდ ამას კი ვერ მივხვდარვარ — რა საჭიროა თქვენთვის ეს წიგნი და ან რა დანიშნულებას ასრულებს? ეს ხომ სწორედ უხნავ-უთესავ მიწასავე არის დარჩენილი!

— ჰხედავ, ჩემო ძვირფასო სტუმარო, — დაიწყო მეფემ: —

მე არ მინდოდა რომ ჩემი სასახლე სხვა მეფეთა საბრძანებელზე რითიმე ნაკლები ყოფილიყო. პირიქით მე მწადადა, რომ ჩემი სახელი შორს გაერცელებულიყო და ყველას ქება-დიდებათ მოვეხსენებინე. ამიტომ სხვათაშორის ეს წიგნი გავაკეთებინე, და უნდა გითხრა, რომ ყველა მისი მნახველი დიდად გაკვირვებულია. მაგალითად, — განაგრძო მეფემ, — შარშან ერთი უცხო ქვეყნის ბატონიშვილი მეწვია, და როდესაც ეს წიგნი დაინახა, გაოცებით წამოიძახა: „ვეფიკავ ზეცის სახელს, ჩემს სიკოცხლეში ჯერ ასეთი წიგნი არ მინახავს!“.

მე რასაკვირველია, ეს ძლიერ მიამა, თავმომწონედ ულ-



ვაშებზე ხელი გადავისვი და ვუთხარი: თუ ამ წიგნის წიგნებს ასე გაგაკვირვებთ, როგორ გაოცდებით, როცა ნახავთ იმ კაცს, რომლის ხელიდანაც ეს წიგნია გამოსული. მხოლოდ ჩემ სახელმწიფოში იბადებიან ასეთი დიდებული პირნი—მეთქი.

ბატონიშვილმა მოისურვა ამ კაცის ნახვა. მეც მაშინვე წიგნის მკაზმავი დავიბარე და ვკითხე:

— შენს სახელოსნოდან არის თუ არა გამოსული ეს წიგნი?

— დიად, დიდებულო მბრძანებელო!—მდაბლად თავის დაკვრით მომიგო მან.

— მაშ თუ ასეა, გვითხარი მე და ამ ბატონიშვილს რაიმე ზეცისა და მის მნათობთა შესახებ!

საკოდავი წიგნების მკაზმავი აბა როგორ არ აასრულებდა ჩემს ბრძანებას, და რადგანაც სრულიად უსწავლელი და უციკი კაცი იყო, ისეთი გაუგებარი ლაპარაკი დაიწყო, რომ ჩემმა სტუმარმა ვეებერთელა თვალები დააჰყიტა. იქნება პირველად ბატონიშვილს ჰკუთხე შემცდარიც ეგონა ის კაცი, მაგრამ რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა მკაზმავი, მით უფრო გაოცებას ეძლეოდა სტუმარი და ბოლოს წამოიძახა:—

— ექვს გარეშეა, ეს კაცი შესანიშნავი სწავლული და მეცნიერი უნდა იყოს, რადგანაც ამის ნალაპარაკეც ვერც ერთი ადამიანი ვერ გაუწევს ანგარიშს! თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი,—მიუბრუნდა იგი მკაზმავს:—თორემ საცაა მე ჰკუთხედ შეეცდები! მე სწორედ ეს მინდოდა.—გაათავა მეფემ.—ჩემს ძლევა-მოსილობაზე ხომ ჰქვეყანა ლაპარაკობდა. ახლა გავრცელდა ხმა, რომ ჩემს ჰქვეყანაში გამოჩენილი მეცნიერნი არიან, და ამით გაეთქვა სახელი ჩემ სახელმწიფოს!

— დიდებულო მეფეო!—მიუბრუნდა მეფეს ბებერი სტუმარი—მე თვალთმაქტი გახლავართ; ნება მიბოძეთ შევეულოცო თქვენ წიგნს, და მაშინ მის ფურცლებზე თავის-თავად აღიბეჭდება ყოველივე ის, რაც თქვენ სახელმწიფოში მოხდება. აქედან ნათლად დაინახავს ყველა, თუ რა ძლევა-მოსილობით და დიდებით იყო აღსავსე თქვენი მბრძანებლობის ხანა.



ამ წიგნის წყალობით თქვენი სახელი უკვდავი შექმნება მრავალ საუკუნეთა შემდეგაც მოგიხსენიებს თქვენი შთამომავლობა.

მეფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, და რასაკვირველია ნება დართო თვალთმაქცს თავისი ძალა გამოეჩინა. თვალთმაქცმა დაიხურა შავი, ოქროს ვარსკვლავებით მოჭედლი ქუდი, აღაპრო მალლა ხელები და დაიწყო დაბალი ხმით შელოცვა; თან თვალს არ აშორებდა გადაშლილ წიგნის ფურცლებს. უცებ წიგნის ფურცლები შეინძრა, კალამი არა სჩანდა, არც თუ სწერდა ვინმე; მხოლოდ ფურცლებზე აშკარად ჩნდებოდა სიტყვები და არც მელანი შრებოდა...

— ღმერთო ჩემო! ეს მელანი კი არა — სისხლია! — წამოიძახა მეფემ, და დაიხარა წიგნზე, რათა ნაწერი გაერჩია: „გვიშველეთ!“ „მოგვხედეთ!“ „ვიტანჯები!“ „ჩვენც სიკოცხლე გვწყურია!“... ამოიკითხა მეფემ. კიდევ მრავალი სიტყვები იწერებოდა, და ყველა სისხლით იყო ნაწერი, და როგორც ჯერ თბილ სისხლს, (ორთქლი ასდიოდა.

და შემოესმა მეფეს ტირილისა და ვიშის ხმა.

— დაასრულე შეჩერდი!... — შევედრა მეფე თვალთმაქცს.

— არა, არ შემძლია! — მიუგო მან. — ახლა მე უძლური ვარ. აქამამდე ეს წიგნი იყო უვარგისი, უსულო საგანი, ახლა კი მას სული შთაებერა... ყოველ საგანს აქვს რაიმე დანიშნულება. ამ წიგნის დანიშნულებაა — **სიმართლის აღიარება!**

მეფე ვიშის ხარმა აიტანა და წამოიძახა:

— დასწვით! დასწვით ეგ წიგნი!..

მაგრამ უზილავი ხელი შლიდა ფურცლებს და გულის შემხარავი სასოწარკვედილება ხალხისა იწერებოდა სისხლის ასოებით.

ვერავის გაებედნა არამც თუ ხელში აღება წიგნისა, თვალს კი ვერ გაესწორებანათ ამ სისხლით მოვლვარე ფურცლებისათვის.

ბოლოს მეფე, თითქოს რაღაც მოევლინაო, წამოდგა,



შემოპკრა რამდენჯერმე ხელი-ხელს და ამით მოეხივებოდა რუსი ვეზირი.

ვახლა მეფეს ვეზირი და მდაბლად თავი დაუკრა. უნდოდა მოეხივებოდა მეფის წინ, მაგრამ მეფემ შეაჩერა, მოჰხვია მხრებზე ხელი, მიუთითა წიგნზე და სთქვა:

— ამ წიგნმა სასწაულო-მოქმედება მოახდინა, მე არ შემიძლია შეჩერება იმ უხილავ ხელისა, რომელიც სისხლის ასოებით აცნობებს სიმართლეს ქვეყნიერებას, სამაგიეროდ მე შემიძლია შევაშრო კრემლი გაჰვივრებულთა, და მოვსპო მომავალშიაც მიზეზი სასოწარკვეთილებისა.

ამიტომ მე დღეიდან ვიღებ სამუდამოდ ხელს ომზე და ვსდებ ფიცს, გაუხდე ჩემს ქვეშევრდომებს მეფე-მბრძანებლად კი არა, არამედ მამად და მსი ჭირისა და ღვინის მოზიარედ. გაგზავნე ყველგან შიკრიკნი, მოჰფინონ ჩემი საბრძანებლის ყოველ კუთხეს ეს სასიხარულო ამბავი, ამით მოსპონ ვაება აქამომდე გატანჯული ერისა.

წიგნის ფურცლები კი განაგრძნობდნენ შრიალს და ახლა მათზე იწერებოდა:

„სიხარული!“ „კმაყოფილება!“ და „ბედნიერება ერისა!“.

ნ. ყორჩიბაში.



## რედაქციისაგან

ჩვენ მივიღეთ ნაკადულის სასარგებლოდ ფოთის პირველ დაწყებით სასწავლებლის მასწავლებელ ნინო ქავთარაძისაგან შეგროვილი 650 მან.

შემომწირველთა სია:

ქ. თურქიასაგან - 20 მან., ნ. კასრაძესაგან—20 მან., ალ. ხოკოლიასაგან—20 მან., ფ. ხაბურზანიასაგან—20 მანეთი, ნ. გაბუნასაგან—20 მან., ალ. კუპრაძისაგან—20 მანეთი, არ. ცანავასაგან—20 მან., ოლ. კილაძისაგან—20 მ., ე. მოისწრაფეშვილისაგან—20 მან., ან. ხოკოლიასაგან 20 მან., ქ. ნადარიასაგან—10 მან., ნ. პარკიასაგან—20 მ., ა. გრიგოლიასაგან—20 მან., ა. ევანიასაგან—20 მან., ნ. ქავთარაძისაგან—20 მან., კ. ტენტიასაგან—100 მან., პატარა ლუასაგან—50 მან., ჭიჭიკო და ანიკოსაგან—50 მან., პატარა გუგულიკოსაგან—50 მან., ანტა ლლანტიასაგან—100 მან., ზინა მელაძისაგან—10 მან., სულ.—650 მან.

რედაქცია დიდ, წრფელ მადლობას სწირავს ქნ ნინო ქავთარაძეს და შემომწირველთა დამხარებისათვის.

## ნ ა კ ა დ უ ლ ის უ მ ს ტ ა

„ნე ბუ“-ს. თქვენი რეზუსი „გაზაფხულდა, ბუჭკის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“ არ დაიბეჭდება, რადგანაც დიდი ხანი არ არის, რომ იყო დაბეჭდილი. გამოგზავნეთ სხვა რამ. რეზუსები ძალიან საჭიროა.



## შ ი ნ ა ა რ ს ი:

I. გაზაფხული — სურ . . . . .	1
II. გაზაფხული, — ლექსი ი. მჭედლიშვილისა . . . . .	2
III. ლურჯი ფრინველი, — ფეერია მ. მეტერლინკისა, შემდეგი, თარგ. ფრანგულით გ. ჯაბადარისა . . . . .	3
IV. წალ-მუხა, — ლექსი რევ. ერისთავისა . . . . .	19
V. შაშვები, — ბაჩანასი . . . . .	21
VI. დაკარგული ბავშვის თავგადასავალი (გერმანულით) ნინო ნინიძისა . . . . .	28
VII. ქართველების უძველეს ისტორიიდან (შემდეგი) ი. ანთაძისა . . . . .	36
VIII. რა მოჰყვა მსოფლიო ომს, — ლ. კრემერისა . . . . .	48
IX. მამა და შვილი (იგავი), — ალ. მარინაშვილისა . . . . .	53
X. შინაური სვაევი, — (იგავი ლექსად) შიო მღვიმელისა . . . . .	54
XI. კულა-კულა არაკები ცა და დედამიწა, — ილ. გოგიასი . . . . .	56
XII. სიმართლის წიგნი (გადმოკეთებული) — ნ. ყორჩიბაშისა . . . . .	58
XIII. შემოწირულებანი . . . . .	63

217/254



მიიღება სელის მოწვევა

1920

წლისათვის

დასურათებული

საყვავილო ჟურნალი

# „ნაკადული“

(წელიწადი შეთქვსმება)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტრო-საგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგან-გებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვა-ნელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.  
" " მოზრდილთათვის " ერთხელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი	150 მან.
ცალ-ცალკე . . . . .	85 "
ნახევარი წლით . . . . .	90 "

მისამართი: თბილისი „ნაკადული“ რედაქცია, რუსთაველას (ყოფილია გაბლივიანის) პროსპექტისა და დავითას ქუჩის კუთხე, შემო-სასვლელი დავითას ქუჩაგან № 2, ტელეფონი № 7-5.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.  
გამომცემელი თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.